სპორტიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 23 ოქტომბერი 1998 №192 (727) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე ჩიგაძე



რამაზ გოგლიძე

მერაბ ჟორდანია



ილია დათუნაშვილი

ხმა მიეცით ქართულ ფეხბურთს!

- გსურთ, ქართული ფეხბურთი იყოს ერთიანი და მთლიანი;
- გსურთ, ქართული ფეხბურთი იყოს დამოუკიდებელი და ფეხზე მყარად მდგომი;
- გსურთ, ქართული ფეხბურთი საკუთარ თავს ეყრდნოდეს;
- გსურთ, ქართული ფეხბურთი იყოს კორუფციისგან, პიროვნული ინტრიგებისგან თავისუფალი;
- გსურთ, ბოლო მოეღოს ქართულ ფეხბურთზე დილეტანტიზმის, არაპროფესიონალიზმის, განუთხაობის 9 წლიანი რეჟიმის ბატონობას;
- გსურთ, ბოლო მოეღოს „დინამოს“ ლამის სამარადისო, ქვეყნისთვის სამარცხვინო ჰეგემონიას;
- გსურთ, თქვენს გუნდებს არ ჩაგრავდნენ მსაჯები;
- გსურთ, გუნდები, მწვრთნელები, ფეხბურთელები არ იყოთ დამშეულნი;
- გსურთ, ამაღლდეს ქართველ მწვრთნელთა კვალიფიკაცია;
- გსურთ, შემცირდეს უცხოეთში ქართველ მოთამაშეთა და ფეხბურთის სპეციალისტთა მიგრაცია;
- გსურთ, თქვენამდე მოდიოდეს უეფასა და ფიფას დახმარება;
- გსურთ, შეივსოს სტუდიონის ტრიბუნები;
- გსურთ, ქართულ გუნდებს სირცხვილს არ აჭმევდნენ მალტური, ბელგიური, პორტუგალიური, ულგარული, მაკედონიური თუ ჰოლანდიური საშუალო ევროპული კლასის გუნდები;
- გსურთ, საქართველოს ნაკრებს არ ათახსირებდნენ მოლდოვის, ლატვიის, პოლონეთის დაბალი ონის ნაკრებები;
- გსურთ, ქართული კლუბები იყვნენ მაძღარნი და ფეხბურთში მოღვაწენი შრომით მოპოვებულ საშრჯელოს დროულად და დაუმადლებლად იღებდნენ;

ერგი აქციეთ, მათ, ვინც ჩვენი ფეხბურთი ასე დააჩაჩანაკა და ხმა მიეცით მას, ვინც საფეხბურთო დაბნოდან გამოგვიყვანს, ერს და ბერს დააპურებს, მართალს საქმეს გაუჩენს და შერცხვენილს ორსებას დაუბრუნებს.

ა მიეცით მას, ვისიც ყველაზე მეტად გეიმედებათ,

ა მიეცით ქართულ ფეხბურთს, თქვენი და თქვენი შვილების მომავალს.

საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური

22 ოქტომბერი. ხუთშაბათი

შევარდენი 84:104 სტუ
თსუ 91:99 ვითა

23 ოქტომბერი. პარასკევი

დინამო — აზოტი
მაკაბი — კოლხა

იხილეთ მეათე გვერდი

კალათბურთი. ევროლიგა

მეხუთე ტური

A ჯგუფი

ფენერბაჰჩე 94:75 ვარეზი
ავტოდორი 64:81 ტაუგრესი
ულგირისი 70:67 პორტეზი

B ჯგუფი

პანათინაიკოსი 77:63 ეფესი
ტდკ 74:59 ცრვენა ზვეზდა
მაკაბი 76:57 ციბონა

C ჯგუფი

ალბა 78:85 ზადარი
კინდერი 66:49 ულძერი
ცსკა 75:81 ოლიმპიაკოსი

D ჯგუფი

პაოკ 85:66 სამარა
ოლიმპია 64:54 ვილერბანი

თასების თასი. მერვედფინალი

პირველი მატჩები. 22 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 0:0

ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0
1:0 ლევერნეს (49)

ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია) 2:1
1:0 დე ნოაიერი (57), 1:1 მუმლეკი (63), 2:1 ჰანსმა (89)

გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი) 1:1
0:1 დანი (56), 1:1 ოულარე (71)

პანიონისი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) 3:2
0:1 სპოლიარიჩი (14), 1:1 საპოუნჩიჩი (22), 2:1 ჰაილოკი (39), 2:2 სპოლიარიჩი (57), 3:2 რობინსი (57)

რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი) 2:1
1:0 მიზრაჰი (13), 1:1 სლივოვსკი (22), სტრანფერი (88)

ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია) 3:1
1:0, 2:0 ბულიკინი (21, 35), 2:1 ოდაირი (47), 3:1 ჩუგაინოვი (59პ)

ჩელსი (ინგლისი) — კოპენჰაგენი (დანია) 1:1
0:1 გოლდბეკი (81), 1:1 დესაი (90)

REUTERS რომიდან

ლაციო — პარტიზანი: ამ ეპიზოდში რომაელმა პაველ ნედვედმა ბელგრადელ ბრანკო სავიჩს კი დაასწრო, მაგრამ მთლიანად „ლაციომ“ ვერა დააკლო ჩვენი ბათუმის მომგებ პარტიზანს

უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩი. 22 ოქტომბერი

UEFA CUP

ლევერკუზენი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) 1:2
0:1 ვან ბრონკჰორსტი (45), 0:2 იოჰანსონი (64), 1:2 რაიხენბერგი (90)

ბადრი კეთილაძის ფოტო

მერაბ ჟორდანიამ, არჩევნებში დამარცხებაც ვერ შემცვლისო

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ოთხივე კანდიდატმა გუშინ დაასრულა წინასაარჩევნო კამპანია. ოთხივე კანდიდატმაო, რომ ვამბობთ, ეს პირობითი გამონათქვამია, თორემ ისედაც ყველამ ვიცით, ვინ, როგორ და რა დოზით, დასაშვები თუ დაუშვებელი გზებით, აიმაღლა თავისი ავტორიტეტი ამომრჩეველთა თვალში.

ისიც ცნობილია, ვის ვინ უმაგრებს ზურგს და პრეზიდენტობის კანდიდატები ვისი იმედით მიბრძანდებიან ყრილობაზე.

მანამდე კი, მერაბ ჟორდანია გუშინ „სარბიელს“ ეწვია. რკალი შეიკრა. შეიძლება ითქვას, გასამდა. ღმერთი სამობითო, ხომ გაგიგონიათ.

მერაბ ჟორდანიამ საარჩევნო სამზადისი ყველაზე გვიან წამოიწყო. თავისი კანდიდატურა ოფიციალურად 2 ივლისს წამოაყენა. მერმინდელი ამბებიც კარგად გვახსოვს, ალექსანდრე ჩივაძესთან ალიანსი, პროტესტი ფედერაციის ზოგიერთი ჩინოსნის მხრიდან.

ალიანსი ხუხულასავის დაინგრა. ჩივაძემ თავად ინდომა პრეზიდენტობა და კანდიდატურაც წამოაყენა. ამ ამბებმა ჟორდანიას უცხოეთში მიუსწრო, სადაც, მის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, უცხოელ პარტნიორებთან საბოლოო მოლაპარაკებებზე იმყოფებოდა.

მერაბ ჟორდანიას საარჩევნო კამპანია სულ რაღაც ორიოდ კვირით შემოიფარგლა. ყველა დელეგატის მოძიება და კონსტრუქტორული საუბარი ამ დროში, რა თქმა უნდა, ვეღარ მოხერხდებოდა, თუმცა ბატონი მერაბი თვლის, რომ მაინც ბევრი მოასწრო.

პრეზიდენტობის კანდიდატმა თავისი სამოქმედო პროგრამა 2 ივლისსავე წარმოადგინა. საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომი სამას გვერდს ითვლიდა.

გუშინდელმა საუბარმა ცხადყო, რომ მას არაფერი დაკლებია, პირიქით, დამატებია კიდეც. ბავშვთა ფეხბურთი, პროფესიული საფეხბურთო ლიგა, დაუძლურებული კლუბების მოღონიერება, ნაკრები გუნდები და სხვაც, უმთავრეს ადგილს იჭერს ჟორდანიას პროგრამაში.

— ჩვენი ფეხბურთის და ფედერაციის დღევანდელი მდგომარეობა სავალალოა. თუ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ასე გაგრძელდა, მერე ბრაზილიური ფეხბურთიც რომ გადმოვდგათ ჩვენთან, ისიც ჩაიძირება. ამიტომ სასწრაფო და კარდინალური ცვლილებელია საჭირო.

ბავშვთა ფეხბურთი რომ მისახედია და ქარბული ფეხბურთის გამოცოცხლება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს, ეს სხვა კანდიდატებისგანაც გვსმენია. არც ბავშვთა საფეხბურთო ლიგის შექმნა მოგვისმენია პირველად.

ჩვენი გაჭირვებული კლუბების მოსაღონიერებლი გზებიც დაუსახავთ პრეზიდენტობის კანდიდატებს. ზოგი ამას სხვადასხვა მეწარმეობრივი საქმიანობით აპირებს, ზოგსაც სახელმწიფოს იმედი აქვს. მერაბ ჟორდანიას თქმით, რაიმე შეღავათებსა და გადასახადებისგან განთავისუფლებაზე კი არ არის საუბარი, არამედ სხვა გზას უნდა ვეწიოთ. კერძოდ, სახელმწიფოსგან მხოლოდ ერთ შეღავათს მოითხოვს, პირდაპირი საფეხბურთო შემოსავლები არ იყოს დაბეგრილი. დანარჩენს თავად მიხედავს. ეს, რა თქმა უნდა, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში.

— დამფიქრებელია ჩემპიონატის დაბალი დონე და კლუბების სავალალო მდგომარეობა. ჩვენში ჯერჯერობით ვერც ერთ კლუბს ვერ ექნება აწყობილი საქმე საზღვარგარეთელებივით. იგულისხმება ბილეთების რეალიზაციიდან, რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები, მაგრამ უნდა დავეხმაროთ, ჩამოვაყალიბოთ სტრუქტურულად, ვაჩვენოთ გზები, რომელიც მათ ჩიხიდან გამოიყვანს და ფეხზე დააყენებს. მერწმუნეთ, აქ არაფერია არარეალური. პირიქით, სავსებით შესაძლებელი გახლავთ.

მერაბ ჟორდანიას შეუძლებლად არც ჩვენებური სპეციალისტების სტაჟირებაზე მივლინება ესახება. ლაპარაკია ისეთ სოლიდურ უცხოურ კლუბებში, როგორიც, ვთქვათ, ჰოლანდიური „აიაქსი“ და ბასკური „ატლეტიკი“ გახლავთ. მართალია, ენობრივი ბარიერი გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის, მაგრამ თარჯიმნის გაშვებაც არ ყოფილა არარეალური. არც უცხოელი სპეციალისტების მოწვევაზე და სემინარების გამართვაზე შეიქმნება პრობლემები.

სატრანსფერო პოლიტიკას რაც შეეხება, ჟორდანიას აზრით, ახალგაზრდა მოთამაშეების უცხოეთში გაშვება მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისის დაშვებით თუ შემოიფარგლება. დანარჩენ შემთხვევაში დაუშვებლად მიიჩნია. ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ახალგაზრდას ევროპის ძლიერი კლუბი მიიწვევს. თუმცა, ისეც არ უნდა მოხდეს, ადამიანის უფლებები შევიწროვდეს. მთელი ევროპა ადამიანთა უფლებების დაცვისკენ მიილტვის და ჩვენი საფეხბურთო კანონებიც ქვეყნის, უეფას და სხვა კანონებს უნდა შეეესაბამოთო.

საუბარი ეროვნულ ნაკრებსაც შეეხო. გუნდში არსებული პრობლემები საჯაროდ განიხილება და, რა თქმა უნდა, მერაბ ჟორდანია ამას გვერდს ვერ აუვლიდა.

— ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. მე არ ვიცი მწვრთნელის აზრი და ფეხბურთელები რას ფიქრობენ, ვერც იმაზე მოგახსენებთ რამეს, მაგრამ თუ პრეზიდენტი გავხდი, სასწრაფოდ რასაც გავაკეთებ, ეს იქნება — უმალ შევკრებ ფეხბურთელებს, თუნდაც ლეგიონერთა ერთი გამოძახების ხარჯზე. დასხდებიან ერთად და სათქმელს ერთმანეთს პირში ეტყვიან. მწვრთნელს თავისი ექნება სათქმელი, ფეხბურთელი თავისას იტყვის. საერთო აზრიც შეიქმნება. მოუგვარებელი და უსაშველო არაფერია. მთავარია, გუნდი არ დაიშალოს. საქმის უსაძირკვლოდ დაწყება წარმოუდგენელია. ჩემი აზრით, ისეთ ფეხბურთელებზე ხელაღებით უარის თქმა, როგორიც გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე და სხვები არიან, არ შეიძლება. თუმცა მუდამ ვამბობდი და „დინამოშიც“ არაერთხელ დამიმტკიცებია, რომ მწვრთნელის კომპეტენციაში არასდროს ჩავერევი. მის უფლებებს არ შევზღუდავ. მწვრთნელს ნორმალური მუშაობის ყველა პირობა უნდა გაჩნდეს.

ამის შემდეგ იყო დიალოგი უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანაზეც. მერაბ ჟორდანიას, მართალია, არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა:

— საზღვარგარეთ მხოლოდ რამდენიმე მწვრთნელია ისეთი, რომლებსაც უდიდესი ანაზღაურება აქვს. კრუიფისა და ბეკენბაუერის დონეზე ვამბობ.

მაგრამ ხომ არიან სხვებიც და თუ გადაწყდება, რომ აუცილებლად უცხოელი სპეციალისტი გვჭირდება, მაშინ აღვილი შესაძლებელია იმ თანხების მოძიებაც, რომელიც აღნიშნულ პრობლემას გადაჭრის. წარმოიდგინეთ, რამდენი მწვრთნელია ევროპაში. ვიმეორებ, მათგან ერთ-ერთის გადმობირება შესაძლებელია.

რა და როგორ იქნება, დღეს ერთმა ღმერთმა უწყის. მერაბ ჟორდანიაც ჯერ კიდევ „დინამოს“ პრეზიდენტია. ამიტომ, ცხადია, „დინამოს“ ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზეც ვკითხეთ. ბუნებრივია, აჟიოტაჟში „მრეტების“ საქმე და სასამართლოში არსებული სარჩელი იგულისხმებოდა...

— ჩემთვის ბევრად უმჯობესი იყო, ამ პრობლემებისთვის ადრევე დამეღწია თავი. მერწმუნეთ, ჩვენი მხრიდან ყველანაირად ვეცადეთ და მზად ვიყავით, პრობლემები ყრილობამდე მოგვეცილებინა, მაგრამ არის ზოგიერთი ორგანიზაცია და პირი, რომელთაც არ აწყობდათ საქმის ბოლომდე მიყვანა.

„მრეტებთან“ დაკავშირებული დავა ჯერაც დაუმთავრებელია. მე მაგ კონტრაქტის არც ხელმოწერისა ვიცოდი რამე და არც არსებობისა. მსურდა, ერთი რამ, ამხელა თანხა საქართველოდან არ გასულიყო, ქართულ ფეხბურთს და „დინამოს“ მოხმარებოდა.

თუ ფიფა იტყოდა, რომ ფული გადასახდელი იყო, მაშინ ქვას გავხეთქდით და ვალს, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, დავფარავდით. საქართველოში ჩვენ გაგვამართლეს, ახლა ჯერი ფიფაზეა და საბოლოო გამარჯვების იმედიც გვაქვს.

რაც შეეხება გადასახადებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესს, არარსებულ ფულს გვედავებიან. სამჯერ გადაიდო სასამართლო, მხოლოდ იმიტომ, რომ ოთხიდან ერთი ექსპერტი სასამართლოზე არ მოდის.

ვიმეორებ, რომ არა ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობები, „დინამოს“ ის საქმეები ყრილობამდე კარგა ხნით ადრე ექნებოდა მოგვარებული.

მერაბ ჟორდანია რედაქციაში კიდევ კარგა ხანს სტუმრობდა. ბევრზეც მოვასწარით საუბარი — ახალ საკლუბო თუ სატელევიზიო კონტრაქტებზე, ფედერაციის დანგრევის პირას მისულ შენობაზე, ქართული ფეხბურთის სხვა გასაჭირზე, საფეხბურთო ჩინოვნიკების და ჟურნალისტების ურთიერთობაზე, რაც, სხვათა შორის, მერაბ ჟორდანიას და მის გუნდს არასდროს შეშლია.

მოკლედ, დიალოგი შედგა. ის საჭირო იყო ბევრი რამის გასარკვევად. დღეს კი, ალბათ, დასრულდება საარჩევნო ვნებათაღელვა და ორომტრიალი.

ვინ დაიდგამს გვირგვინს, გასარკვევიც ესღა დაგვრჩენია.

ზამუკა კვანტალიანი

დათუნაშვილს წარმატების იმედი აქვს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამდე ორი დღით ადრე კანდიდატებიც აქტიურობამ და დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. გუშინწინ ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ილია დათუნაშვილმა არჩევნებამდე ბოლო პრესკონფერენცია გამართა. საუბარი თითქმის იმავე საკითხებს შეეხო, რაც ბატონი ილიას „სარბიელში“ ამასწინანდელი სტუმრობისას, ამიტომ უკვე ნათქვამს აღარ გავიმეორებთ და მხოლოდ იმას შემოგთავაზებთ, რაც ყველაზე მეტად გვენიშნა.

— ახალმა პრეზიდენტმა, ვინც უნდა იყოს იგი, დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ბავშვთა ფეხბურთის აღორძინებას. ასე მგონია, რომელი კანდიდატიც სხვაგვარად ფიქრობს, იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის.

საერთოდ, დემოკრატიული არჩევნების დროს ყველა კანდიდატი თანაბარ პირობებშია. აქ კი სულ სხვაგვარი ვითარებაა, დღევანდელი ფედერაცია კი თავის მდგომარეობას იყენებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა გაიმარჯვონ. დებულების წამდაუწუმ შეცვლასაც არ ერიდებიან, თუმცა წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ ამ დღეში არიან.

კანდიდატები ბევრს ლაპარაკობენ, მილიონებს მოვიზიდავთ, ეგ თუ შეუძლიათ, ახლავე მოიზიდონ და საჭიროებისამებრ გამოიყენონ, რატომ ელიან პრეზიდენტობას?

ნაკრების ჩავარდნას ბევრი ფეხბურთელებს მიაწერს. მე სხვაგვარად ვფიქრობ: ყველაფრის თავიდათავი დღევანდელი ფედერაცია და მისი პოლიტიკაა. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ფეხბურთელებიც სცოდავენ. ახლა მე არ მაქვს იმის უფლება, რომ ფეხბურთელი ან მწვრთნელი რამეში დავადანაშაულო. რა საჭირო იყო, ფედერაციამ ნაკრები ხუთი დღით ადრე რომ წაიყვანა რიგაში? ახლა ამ მგზავრობის ხარჯები გამომაზეურეს, რომლის მიხედვით ერთი ფეხბურთელის კვება დღეში 70-80 დოლარი უჯდებოდათ. ვინც საზღვარგარეთ ერთხელ მაინც ყოფილა, ყველაფერს მიხვდება.

ბატონი რამაზ გოგლიძე ამბობს, რომ მისი მოკავშირე და მხარდამჭერი იოზეფ ბლატერია, ჩივაძის — ლენარტ იოჰანსონი, ჩემი მოკავშირე და მეგობარი კი ყველა საღად მოაზროვნე ქართველი კაცია.

ამ ხალხს არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება არა აქვს, მე მათ ადგილზე ამას არ გავაკეთებდი. როგორ შეიძლება, იმ კაცმა იყაროს კენჭი, რომელსაც თავისი მეობა არ გაჩნია? ჩემ ვაძეს არ უნდოდა პრეზიდენტობა, წა ვიდა კიდეც, მაგრამ იგი მართვადი პი როვნებაა, ვიდაცეების გავლენის ქვეშ მოექცა. ასეთი კაცის თანამდებობაზე დ ტოვება დიდი შეცდომაა. იგი ქართულ ფეხბურთს დალუპავს. მისი ცოდნა გა მოსაყენებელია, მაგრამ ამისათვის სა ჭიროა, ზოგიერთების გავლენისაგან გ ნთავისუფლდეს. არც იმის პრეზიდენ ტობა მიმაჩნია მართებულად, ვისი სა ქმეც მილიონებთან დაკავშირებით სასა მართლოში ირჩევა და არც იმ პიროვნ ებას აქვს კენჭისყრის უფლება, რომ ლსაც ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ჭკუ ასელის, ნორად ახალკაცის წინაშე მი უძღვის ბრალი.

ყრილობის წინა პერიოდი მთლიანად დადგმული სცენარით მიდის, ამაზე ორ აზრი არ არსებობს. ადრე ორი კაცის დ დგმული სცენარით მიმდინარეობდა, ახლ კი, ვატყობ, მათ მესამეც დაემატა — უკვ სამი ალიანსია. ყველა ჩემს წინააღმდეგ გაერთიანდა. ყველანაირად ცდილობენ ჩამომიცილონ, რათა შემდეგ ბინძურ საქმიანობაში ხელი ვერავინ შეუშალოს ისიც სათქმელია, რომ ძალიან ცუდად განაწილდა მანდატები. მაგალითად, ვე ტერანთა კავშირს თავიდან ერთადერთ მანდატი მისცეს, შემდეგ ორამდე გაზ რდეს, ბოლოს კი სულ სამს დაუჯერეს

ჩემს მიერ გატარებულ კარდინალურ ცვლილებებში ამას ვგულისხმობ: რა შეიძლება სწრაფად უნდა აღმოიფხვრა ის სიბინძურე, რომელმაც ქართული ფე ხბურთი ამ მდგომარეობაში ჩააგდო. ას გაგრძელება აღარ შეიძლება.

აუცილებლად უნდა დაწესდეს ასა კობრივი ცეზი ტრანსფერებზე. არ შე იძლება 16-17 წლის ფეხბურთელი გაყ დო მამლუქივით, როგორც ახლა მო ხდა. ფეხბურთელს უნდა შეუქმნა პი რობები, ცოტა ხანს ითამაშო აქ, მერე გარკვეულ ასაკს რომ მიაღწევს, კი ბა ტონო.

წინასაარჩევნო კამპანია დიდი ხნ წინ დავიწყე, მას ჩემი ნდობით აღჭურ ვილი პირი თემურ მირიანაშვილი ხელ მძღვანელობდა და საკმაოდ ნაყოფიერ დაც. უშუალოდ დელეგატებთანაც მქო ნდა შეხვედრები. ჩემი აქტიური მუშაო ბის გათვალისწინებით კი, ვფიქრობ, ყრ ლობაზე ხმების 55-60 პროცენტს მოვ გროვებ.

ვანო ოჟროპირიძ

ბადრი კეთილაძის ფოტო

ილია დათუნაშვილი საღად მოაზროვნეთა იმედადაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარიც ვერ გვაშინებს

დღეს, როგორც იცით, ყრილობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს აირჩევენ. მანამდე კი ჩემპიონატის ორი გამოტოვებული შეხვედრის თარიღი გახდა ცნობილი. მესამე ტურის გადადებული ორი შეხვედრა, რომელიც ზუგდიდში მოწყობილ ტერაქტს და საევროპო ბატალიებს შეეწირა, 28 ოქტომბერს გაიმართება. ზუგდიდში „ოდიში“ ქუთაისის „ტორპედოს“ შეერკინება, ხოლო რუსთავს ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი „დინამო“ ეწვევა ი.ქუსურ „გორდას“ დაუპირისპირდება. ამავე დღეს ჩატარდება ეროვნული თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩიც — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდი სახელმწიფო უნივერსიტეტისას გაეჯიბრება. პირველი შეხვედრა ამ გუნდებს შორის 20 ოქტომბერს შედგა და ფრედ 0:0 დასრულდა.

ჩემპიონატის კიდევ ერთი გამოტოვებული შეხვედრის, მეექვსე ტურის „დინამო“ — „კოლხეთის“ მატჩის თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი. ზამთრის დროზე გადასვლამ (25 ოქტომბრიდან საათის ისარი ერთი საათით უკან გადაიწევა) შეხვედრათა დაწყების დროზე გავლენა ვერ იქონია და მატჩები ოქტომბერში კვლავინდებურად 16 საათზე დაიწყება.

გიორგი ვაშაკიძე

ტორპედოს მეტრეველმაც შგანა

ქუთაისის „ტორპედოს“ კრიზისული მგომარეობა კვლავ გრძელდება. კლუბის მომავალი სპონსორის შესახებ ინფორმაცია ისევ ბუნდოვანია. ადრე გაცნობეთ, რომ ამ მიზეზის გამო გუნდის დატოვება გადაწყვიტეს თბილისელებმა — ვაშაკიძემ, ჯინჭარაძემ და ყიფიანმა. ახლა სამეულს კონსტანტინე მეტრეველიც შეუერთდა.

მეტრეველმა გადაწყვიტა თავისი ბედი თურქულ „ანკარაგიუჯიუს“ დაუკავშიროს და გასასინჯად მეზობელი ქვეყნის დედაქალაქს მიაშურა.

იგი ორი სეზონის განმავლობაში იხარჯებოდა ქუთაისელთა კლუბში, სადაც ბოლნისის „სიონიდან“ გადაიბირეს. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებდა. მეტრეველი იმ პერიოდისათვის მართლაც კარგ ფორმაში იმყოფებოდა, მაგრამ ტრავმებმა შეუშალა ხელი. ამის გამო ფორმადაკარგულს ხშირად უწევდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

„ტორპედო“ სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ფინანსურ კრიზისს შემადგენლობის შესუსტება დაერთო და თუ ასე გაგრძელდა, სამარქაფოებიც აღარ შერჩება. ეს კი ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში ნათლად წარმოჩინდა. „გურიასთან“ „ტორპედომ“ მხოლოდ ყიფიანი შეიყვანა შეცვლაზე, დანარჩენი სათადარიგონი ფარმ-კლუბიდან ჰყავდა. აი, გორში კი ორი შეცვლის შემდეგ ჯემალ ხერხაძეს გვერდს მხოლოდ ორი მეკარე უმშვენებდა.

ხვიჩა სანიკიძე

აქაც კოკა-კოლა

ავადმყოფობას თუ დროზე არ მიხედე, გართულდება და მერე მისი წამლობა ერთი ორად გაძნელდება. დღევანდელი ქართული ფეხბურთის უმთავრესი სატკივარი მისი საძირკველი — ბავშვთა ფეხბურთია. აგერ უკვე რამდენი წელია, თითიც არავის გაუნძრევია ბავშვთა ფეხბურთის საკეთილდღეოდ, რამდენი წელია, არ გამოჩენილან ისეთი ვარსკვლავები, ადრე რომ გვინახავს. მიზეზი კი უამრავია. დღეს ყველა ამბობს ბავშვთა ფეხბურთი უნდა განვითარდეს, მაგრამ კონკრეტულად რა და როგორ უნდა გაკეთდეს, ერთეულების გარდა არავინ ლაპარაკობს. ამასწინდელ „სარბიელში“ ამ ერთეულთა ერთ-ერთ წარმომადგენელზე, საერთაშორისო საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ფონდზე „ფეხბურთი ბავშვებს“ გვქონდა საუბარი, რომლის პრეზიდენტიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გრიგოლ ცაავა გახლავთ. ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის ფონდის პირველი ნაბიჯი ნოდარ ახალკაცის სახელობის სკოლის გახსნა იყო.

სპორტის დეპარტამენტში ფონდის ხელმძღვანელთა მიერ გუშინწინ გამართული პრესკონფერენცია ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას და ამ საქმეში ფონდის მოღვაწეობის საკითხს მიეძღვნა. მას ფედერაციის პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატიდან სამი ესწრებოდა, ორი მაყურებლის რანგში, ერთი კი სიტყვით გამოვიდა. პრესკონფერენციაზე, მიწვევის მიუხედავად, მხოლოდ ალექსანდრე ჩივაძე არ გამოცხადდა, თუმც დავით ქლიბაძემ დიპლომატიურად აღნიშნა, ბატონი საშას უმთავრესი საწუხარიც ბავშვთა ფეხბურთია და მის მოუსვლელობასაც, ალბათ, ობიექტური მიზეზი გააჩნიაო.

მთავარი თემა ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ლიგის შექმნა და მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა იყო. ფონდის ხელმძღვანელობას საამისოდ დიდი პროგრამა აქვს შემუშავებული, რომელსაც თემურ ჭყონიასთან, მერრაბ ჟორდანიასთან და ბერძნული ფირმა EA-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ალექს ქსანტულისთან თანამშრომლობა უდევს საფუძვლად. ეს ის ხალხია, რომელთაც გაიზიარეს ფონდის იდეები და ახლა უკვე რეალურად დგას ბავშვთა ლიგის შექმნის საკითხი.

პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ამბობს, რომ მის საარჩევნო პროგრამაში უდიდესი ყურადღება ეთმობა ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას, თუმცა გუშინწინდელამდე მერაბ ჟორდანიას გარდა კონკრეტულად არავის არაფერი ჰქონდა გაკეთებული. გუშინწინ კი რამაზ გოგლიძემ გადასცა ბავშვთა ფეხბურთის განვითარების თავისეული პროგრამა ფონდის ხელმძღვანელობას.

წამოიჭრა აგრეთვე მწვრთნელთა უცხოეთში სტაჟირების საკითხიც, თუმც, როგორც ერთ-ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, დღესდღეობით ქართველ მწვრთნელთა უმეტესობამ არ იცის უცხო ენა და ამიტომ ეს უფრო შორეული მომავლის საქმეა. სატელევიზიო კომპანიებთან საერთაშორისო დონეზე ურთიერთობა კი უფრო რეალურია. ლევან ყიფიანის განცხადებით, ფონდს განზრახული აქვს TV7-თან ერთად (მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ალექს ქსანტულისია) სპორტული არხის შექმნა, რომელიც საქართველოს ნაკრებისა და ევროთასებზე მოასპარეზე ქართული კლუბების უკლებლივ ყველა მატჩის რეპორტაჟს გადმოსცემს.

ბოლოს „მზიურის“ ტერიტორიაზე ბავშვთა საფეხბურთო ცენტრის მშენებლობაზე ითქვა. საამისოდ უკვე გადადგმულა გარკვეული ნაბიჯები, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“. ამ დღეებში ფონდი თურქეთიდან სტადიონის გადასახურად ტენტსაც მიიღებს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ ხალხს. მართლაც რომ საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ, მაგრამ მათ აუცილებლად სჭირდებათ მხარდაჭერა, უპირველესად ფედერაციის მხრიდან, ოღონდ არა მარტო სიტყვით.

პაატა თოთაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

რამაზ გოგლიძემ წინასაარჩევნო კამპანია დაასრულა, ჯერი დელეგატებზეა

...ილია წინასაარჩევნო მარათონი.

...ორც იქნა, ვეღირსეთ ყრილობის ...ის გათენებას. დადგა ჟამი, როცა ...ლო არჩევანი უნდა გაკეთდეს და ...ეწყდეს, თუ ვინ იქნება ქართული ...ბურთის წინამძღოლი. ამომრჩევლ... ...თითქმის ამომწურავი ინფორმაცია ...ეს თითოეული კანდიდატურის შ... ...ებ და, ვფიქრობთ, არ უნდა გაუჭ... ...ნობის გაცხადება.

...ე ოქტომბერი ჩვენი ფეხბურთის მო...ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელო... ...თარიღი. ყრილობის დელეგატ... ...პირადული მიზნები და საკუთარი ...ციები დროებით უნდა დაივიწყონ. ...საღი აზრითა და ცივი გონებით ...ა განსაზღვრონ ის გზა, რომელიც ...იდან გამოიყვანს დაუძლურებულ ქა...ულ ფეხბურთს.

...ოთხი კანდიდატი, ოთხი თვალსაზრი... ...ა შეხედულება, ოთხი აზრი და მი...ულება — არჩევანი კი მხოლოდ ...ია. ის ერთი რჩეული ოთხი წელი ...ეკაცებს ფედერაციას.

...უშინ რამაზ გოგლიძემ დაასრულა ...ასაარჩევნო კამპანია. დაასრულა ჟუ...ალისტებთან შეხვედრით და მეტად ...ორულ ნოტაზე. ბატონმა რამაზმა ...ავ დაადასტურა მედიის მიმართ კე...ოვანწყობა და მადლობა გადაუხადა ... მოვლენათა ობიექტურად გაშუქ...თვის. თავის მხრივ მეოთხე ხელი...ულების წარმომადგენლებმაც მეტად ...ობილი ატმოსფერო შეუქმნეს კან...ატს ყრილობის წინა დღეს და ...ბამდე მოუწონეს წინასაარჩევნო კა...ის ძალიან მაღალ პროფესიონალურ ...ზე წარმართვა. შეხვედრაზე გოგ...ძეს ისიც კი უთხრეს, თავიდან თქვე... ...მნი მინიმალური იყო და არ გვ...ა, თუ ამდენს შეძლებდითო.

...ამრთლე გითხრათ, კარგა ხანია, ჟუ...ალისტებისა და რესპოდენტის ამგ... ...კეთილგნაწყობილ პრესკონფერენ...ს არ შევსწრებივართ, თანაც ისეთი ...პოდენტის, რომელიც მეორე დღეს ...ფ-ს თავკაცობისთვის იყრის კენჭს. ...ეხვედრის მიწურულს სპორტულ ჟუ...ალისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ...ონმა ელგუჯა ბერიშვილმა იხუმრა — ...ერაბაზი რომ წყდებოდეს ფედერაციის ...ალი პრეზიდენტის ბედი, ბატონ რა...ს გამარჯვება გარანტირებული აქვსო. ...ემრობა ხუმრობად, მაგრამ ფაქტია, ...გუშინ აშკარად შეინიშნებოდა სპო...ული მედიის წარმომადგენელთა უმ...ესობის გოგლიძისადმი სიმპატიე... ...ა პრესკონფერენციამ კინაღამ კონ...ტაციების ხასიათი მიიღო.

...ავიდან ბატონმა რამაზმა კიდევ ერთ... ...ი ისაუბრა თავის საპროგრამო დე...ებებზე და მოკლედ მიმოიხილა მი...ირითადი პუნქტები.

...ემდეგ კი გვთხოვა, კითხვებზე გადავ...ეყვავთ. ჩემთვის უხერხული შეკი... ...ა არ არსებობსო.

— თქვენ განაცხადეთ, რომ შესაძ...ლად თვლით, კოკა-კოლის რეგიონში ...ბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ...ალური ეტაპის ჩატარებას თუნდაც ...დენიმე ათეული წლის შემდგომ. ...ტა უტოპიური განცხადება ხომ ...გამოგვიდათ და საერთოდ 100 ...ის შემდეგ იარსებებს ფეხბურთი?

— თუ ეგ გვჯერა, რომ ფეხბურთმა ...ლება აღარ იარსებოს, მაშინ აქ ტყუ... ...ად შეკრებილვართ. მე ეს არც მო...ეჭრებლად მითქვამს და არც წინასა...ევრო ბლეფია. ნიჰილიზმი უნდა აღ...ფხვრათ და მომავლის იმედით უნდა ...რთ. მე ჩამოვთვალე რამდენიმე ეტა... ...ოთხ წელიწადში სავსებით შესაძ...ებლად მიმაჩნია, რომ შავი ზღვის აუ... ...ქვეყნების პირველობები ჩატარდეს ...ლ ასაკში და კლუბებს შორისაც. ...არაა რთული.

...ე ვიყავი აშშ-ში იმ პერიოდში, რო... ...ამერიკელები 1994 წლის ჩემპიონა... ...ს მასპინძლობის უფლებისთვის იბრ...ძნენ. ეს ხდებოდა 1990 წელს და მი...ული ვიყავი მათ შტაბში. რაღაც მცი...ე წვლილი მეც მიმიძღვის ამ საქმე...ში. გავეცანი, თუ როგორ ხდება ყოველივე. თქვენ როგორ გგონიათ, 20 წლის ასაკის ფეხბურთელებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი დიდების მსოფლიოს ჩემპიონატის იგივე მოდელი არ არის? იგივე მოთხოვნილებაა ყველაფრის, მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა მატერიალური დანახარჯებია. ეს ძალიან დიდი თემაა და მასზე შეიძლება დიდხანს გესაუბროთ. მე გითხარით უახლოესი ოთხწლიანი გეგმა. თუმცა, მომავალში დიდი მასშტაბებისკენ უნდა ვიაროთ.

— თქვენი გუნდის წევრთა ვინაობას ხომ ვერ გაგვიმხელთ? თქვენი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ვინ იქნება სფფ-ს გენსეკი?

— მე ვიყავი პირველი კანდიდატებს შორის, რომელმაც განვაცხადე, კარი იქნებოდა, წინასაარჩევნო კამპანიისას თითოეულს თავისი გენერალური მდივანი დაესახელებინა-მეთქი. სამწუხაროდ, არავინ ამყვა. ახლა კი პირდაპირ გეტყვით — მე ჩემი გენსეკით მოვდივარ და, რა თქმა უნდა, არა დავით კვინიკაძით, მაგრამ იმასაც გაგიმხელთ, რომ მე პასუხს ვაგებ ბატონი დავითის ოჯახის წინაშე. მას ისეთ სამსახურს მოვუძებნი ქართულ ფეხბურთში, რომ ოჯახის რჩენა შეძლოს, თუმცა არა ფედერაციის შენობაში.

— ილია დათუნაშვილმა განაცხადა, რომ სჯერა, ყრილობაზე 55-60 პროცენტი მხარს დამიჭერსო...

— ბატონ ილიას რომ არ სჯეროდეს, მაშინ კენჭს არ იყრიდა, მაგრამ მეც მოვიარე ყველა რეგიონი და 100 პროცენტი დაპირება მივიღე. მხოლოდ გორში მითხრა ერთმა კაცმა, რომ ძალიან ბევრი უნდა ვიფიქროო. ამისთვის. შემდეგ მე დავწერე ერთ გაზეთში, რომ აი, ისეთ კაცს გაუმარჯოს, ვინც ფიქრით განსჯის-მეთქი. ასეთი ადამიანებით რომ იყოს დასახლებული მთელი საქართველო, ამ დღეში არ ვიქნებოდით. სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს.

რა იქნება, არჩევნები გვაჩვენებს. ზოგს რაღაცის იმედი აქვს. ხმამაღლა გეუბნებით, რომ არაფრის იმედით არ მივდივარ ყრილობაზე. მე კეთილი აზრის იმედი მაქვს მხოლოდ და იმ თბილი ატმოსფეროსი, რაც თქვენ შემიქმენით. განა პასუხის გაცემა არ შემიძლია, როგორც ერთმა დამაბრალა, ეს იმ ადამიანების კომპლექსია, ვინც ამას ამბობს. მე არ მინდა, თორემ ყოველთვის შემიძლია.

— ნაკრების მატჩებმა დაგვანახა, რომ ზოგიერთ ლეგიონერს არ სურს თამაში...

— დავუშვათ ვარ სფფ-ს პრეზიდენტი. ჯერ ერთი, მე რა შუაში ვარ. მთავარი პირი ნაკრების მწვრთნელია. მას უნდა ამოვუდგეთ მხარში. მე ვიქნები პასუხისმგებელი იმაში, რომ მთავარ მწვრთნელი გავათავისუფლო მშობლის ზარისგან, პარტიის ზარისგან, გავლენიანი პირებისა თუ შავი სამყაროს წარმომადგენლების კარნახისგან. ვერც ერთი მწვრთნელი ვერ იტყვის იმას, რომ გოგლიეს ეს საკითხი დავუყენე და ვერ გადამიწყვიტაო, მაშინ მე წავალ.

გული მომიკლა ეროვნული ნაკრების თამაშმა, იმ უჯიგრობამ, რაც ფეხბურთელებში დავინახე. მე ძველი რგბისტი ვარ, პირველი ნაკრების წევრი და ხორკლიან მინდორზე ბრძოლას არ ვერიდებოდით. საბრძოლო ჟინის გარეშე არაფერი გამოვა.

— თუ თქვენ გაიმარჯვეთ, რამდენ ხანში აეხდება ფარდა იმ კორუფციას, რაც ფედერაციაში სუფევს?

— პასუხს თუ ამირჩევენ, კვირას ყველაფერს გაიგებთ. ჩემთან მობრძანდებით და ყოველივეს გეტყვით, ვინ ვინ არის.

— კვირა ხომ დასვენების დღეა?

— შაბათ-კვირა ჩემთვის არ არსებობს. ჩვენ, ფეხბურთელები, დათვებივით ვართ. ზამთარში არის პერიოდი, როცა შეგიძლია დაიძინო და ცოტა დაისვენო. ახლა კი რა დროს ძილია. მე ის მიკვირს, როცა ფეხბურთს ასე უჭირს და ამ დროს ფუნქციონერი ან ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი შვებულებაში მიდის, თანაც აგვისტოში.

დასასრულს რამაზ გოგლიძემ ყრილობის მიმდინარეობის დეტალებზეც გვითხრა. კანდიდატთა თანხმობით სხდომას ბატონი ჯანო ბაგრატიონი წარუძღვება.

ხვიჩა სანიკიძე

...ექვსმეტწლამდელებმა მარცხით დაიწყეს

...ამ დღეებში ავსტრიული ზალცბურგში 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შე...ორე ტურნირის ერთ-ერთ ქვეჯგუფს მასპინძლებს. ავსტრიელებთან, ბერძნებთან ...აზერბაიჯანელებთან ერთად ტურნირში ჩვენი მოზარდებიც მონაწილეობენ. გუ...ოთარ შენგელიას აღსაზრდელებმა პირველი შეხვედრა ჩაატარეს ავსტრიის ნაკ...თან და 0:2 დამარცხდნენ. მასპინძლებმა თამაშის დასაწყისშივე ისარგებლეს მეკარე ...ალავის შეცდომით და ანგარიში გახსნეს. ტაიმიც მათი უპირატესობით გასრუ...ა. მეორე ნახევარში ქართველები გააქტიურდნენ და მიზანთანაც ახლოს ყოფილან, ...რამ ტაიმის შუაწელში ჩვენს სასარგებლოდ დანიშნული თერთმეტმეტრიანი ...ეშანდრე ჩივაძემ ვერ გამოიყენა. თამაშის მიწურულს კი ჩვენებს მეტოქის იშ...ი კონტრშეტევა გამოეპარათ და 0:2 დამარცხდნენ. ამავე ჯგუფის მეორე შე...ერაში აზერბაიჯანელებმა ფრედ — 0:0 ითამაშეს ბერძნებთან.

საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი

პირველი გადადებული მატჩი

თსუ 0:0 საუ

თბილისი *თბილისი*

საპასუხო მატჩი 28 ოქტომბერს

ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით

② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში

③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა

④ მისაღები ფასები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, რომელიც აშენებს

რიგა — სუფთა, გაწკრიალებული, ლამაზი და მშვენიერი. თავი მუზეუმში გეგონება, ყოველი შენობა ხელოვნების ნიმუშია. დადიხარ და გსიამოვნებს, თავს ვერ აჩერებ, იძულებული ხარ, გაიხედ-გამოიხედო, მშვიდდები და საქმის იშტაზე მოდიხარ. ხალხს ესაუბრები, კეთილი ღიმილი სახიდან არ შორდებათ. აა, ქართველი ხართ, ძალიან კარგი, ქართველებს დიდ პატივს ვცემთ, თავისუფლების მოყვარე ერი ყველასგან დასაფასებელიაო, ათი ლატვიელიდან რვა ამას იტყვის. იქვე რუსებიც არიან, თან საკმაოდ მრავლად, ლატვიელები გვავიწროვებენ, საშინელი ნაციონალისტები გახლავანო — რუსთ თავიანთი ადარდებთ. ლატვიაში ყველამ თავისი იცის, იცის, რომ ზღურბლს იქით უაზრო ნაბიჯი არ უნდა გადადგა. ნელ-ნელა, მაგრამ თვალშისაცემად, სწორი გზით მიდიან. იშუშებენ იმპერიის დიდი კლანჭების ნაიარევს. აშენებენ და ამშვენებენ ქალაქს, ქვეყანას. არავის ერჩიან, ნურც სხვა დაგვიშავებსო. მათ იმ დროის გახსენებაც ზარავთ, როცა 1991 წლის აგვისტოში ესტონეთის ტალინი და ლიტვის კლაიპედა დააკავშირეს ერთმანეთს, ბალტიისპირელ ხალხთა პროტესტის ჯაჭვი ლატვიაზე გადიოდა. ძველ დროებას არავინ იხსენებს, ყველა დღევანდელობითა და მომავლითაა დაკავებული.

ფეხბურთი მაინცდამაინც არ აინტერესებთ. კალათბურთი ნომერი პირველი სპორტია ლატვიაში. ფეხბურთელები თამაშის უცოდინარები არიან, კალათბურთელთა იმედი უფრო გვაქვსო — აცხადებენ ლატვიელები. ეს ადრეც ვიცოდით. რიგიდან უეჭველად სამი ქულის წამოღებას ვაპირებდით, მაგრამ, პირადად, თამაშამდე ორიოდ დღით ადრე დავრწმუნდი, ჩვენებს მოედანზე სასეირნოდ რომ არ ეცლებოდათ.

„მეჟაპარკი“ — სპორტული კომპლექსი რიგის გარეუბანში, პირობითად „სკონტოს“ ბაზად მოიხსენიებენ ხოლმე. მწვანეში ჩაფლული ადგილი. ოთხი ხასხასამმინდვრიანი სავარჯიშო მოედანი, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზი, მცირე ზომის ქვიშის მოედანი პატარა კარებით. კომფორტული სასტუმრო „სკონტოსთვის“, ლატვიის ეროვნული გუნდისა და სტუმრებისთვის და ჯერ მხოლოდ კარკასაგებული, მომავალში კიდევ ერთი საცხოვრებელი კორპუსი. ეს ყველაფერი „მეჟაპარკშია“. სიმყუდროვე, რაც ესოდენ აუცილებელია საქმის საკეთებლად.

გუნდი ვარჯიშზეა, ფეხბურთელები რევაზ ძოძუაშვილის დარიგებებს ისმენენ. ქალბატონი ნონა, ლატვიის ნაკრების მწვრთნელის მეუღლე, გვეუბნება, ბიჭებო, წამოდით, ფინჯანი ყავა მიირთვით, აქვე, სასტუმროს ბარში დავსხდეთ, ქართველები მომენატრეთ, ამასობაში რეზო ვარჯიშსაც მორჩებაო. ქალბატონი ნონა გვმასპინძლობს, თან ცდილობს აქაურ ამბებში გაგვარკვიოს.

— თავადაც ხომ ხედავთ, როგორ ფეხბურთელებთან უწევს ჩემს ქმარს მუშაობა? იქ, მოედანზე, თუ შენიშნეთ, ორი რაგბის ბურთი ეგდო, რეზო ასეთი ოვალური ბურთით ასწავლის ფეხბურთელებს თამაშს. არაფერი არ იციან, უნდა დაულეჭო და ისე გადასცე, მაგრამ რასაც ეტყვი, უსიკვდილოდ შეგისრულებენ. მერე პირობები ნახეთ. აგერ, ამ სასტუმროში ორი საუნაა. რესტორანი, რამდენიმე გასართობი დარბაზი, გარეთ სავარჯიშო მინდვრებს დათვლიდით, მინდვრის ხარისხზეც წარმოდგენა შეგექმნებოდათ. ამას წინათ რეზომ რამდენიმე მანქანა ქვიშა მოატანინა, ახალი მოედანი მოაწყო, აქაურები თანგადაყოლილები არიან. რეზომ რომ დაინახა, მუშაობის ასეთი პირობები ექნებოდა, ამიტომაც დაყაბულდა ლატვიის ნაკრების მწვრთნელობას.

არაჩვეულებრივი კაცია გიუნტის ინდრიკსონი, „სკონტოსა“ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ლატვიელ მდიდართა ხუთეულშია. ფულს შოულობს და ხარჯავს კიდეც, ეგოისტი არაა, კაცი არ ჰყავს მომდურებული. მცირე ბიზნესით დაიწყო საქმიანობა, იწვალა, ზბრძოლა, დღეს კი მთელი ლატვია მას უმადლოდეს, ფეხბურთი რომ აქ არსებობს. ქალაქში გაიარეთ? რამდენიმე თვის წინ ამ კაცმა ისეთი დახურული სპორტული კომპლექსი ააშენა, მოსკოვის „ოლიმპიისკი“ მონაგონია. დარბაზები, აუზები, ტრენაჟორები, რა გინდა, სულო და გულო. პირობებს ქმნის, ხალხი აჰყვა, რეზოსთან ერთად დიდი გეგმები აქვს. დარწმუნებული ვარ, საწადელს აისრულებს. კაცი ვარო, ინდრიკსონმა თქვას. სხვების მსგავსად არც იმას ცდილობს, თავი ვინმეს ან რამეს შეაფაროს. პატიოსნად აკეთებს თავის საკეთებელს. უამრავი მადლიერი ჰყავს...

ბარში ლატვიის ნაკრების ადმინისტრატორი შემოვიდა, ქართველებს სიცოცხლე, რევაზი თქვენკენ მოდისო, ქალბატონ ნონას შეაწყვეტინა. მის ზურგსუკან ძოძუაშვილიც გამოჩნდა. როგორ ხართო, გვკითხა და მერე ბარმენს მიუტრიალდა, ბიჭებს ლუდი მოართვით, აქაურ სუსხს მიუჩვეველნი არიანო.

ბარე ორი საათიც ვისაუბრეთ. ძოძუაშვილმა ლატვიური ამბები გვიამბო. ასეთი პირობები საქართველოში იყოს, რაღა გვიჭირს, ერთი ინდრიკსონისნაირი კაცი ვერ მოინახა ჩვენს სამშობლოში, ეგებ რაიმე ხეირი დაგვადგესო — ალალად ამბობდა ძოძუაშვილი.

„მეჟაპარკიდან“ წასვლის დროც მოვიდა. ლატვიის ნაკრების სავარჯიშო მინდორზე ისევ რაგბის ბურთები ეყარა. ლატვიელებმა ასე ისწავლეს ნორვეგიელთა და ქართველთა დამარცხება.

რამდენიმე წუთში ლატვიის ნაკრების ფეხბურთელები ვარჯიშს ოვალური ბურთებით გააგრძელებენ...

— რა კაცია ეს ინდრიკსონი? — იკითხა ერთმა ჩვენებურმა.

— მაგარი კაცი ყოფილა — იყო პასუხი.

სასტუმროში მივბრუნდი, ბატონ რეზოს ვკითხე, გიუნტის ინდრიკსონი როგორ ვნახო-მეთქი. თამაშის დღეს თუ მოახერხებ, ქალაქგარეთაა გასულიო, მიპასუხა.

10 ოქტომბერია. „დაუგავას“ სტადიონზე შევდივართ. ვიცით, მაყურებელი მცირერიცხოვანი იქნება. სინამდვილეში იმაზე ცოტაც კია, რასაც ვვარაუდობდით. სახსოვრად სურათი გადავიღეთ სტადიონის ფონზე. ლამაზი ნაგებობაა, არა? — შეგვეკითხა ადგილობრივი პოლიციელი, თან სხეულზე ლითონის საძებნი მოწყობილობა შემოგვატარა, ჩანთაშიც ჩაიჭყიტა, ბოდიში, მაგრამ უნდა შეგამოწმოთ, აკრძალული რამ ხომ არ შეგაქვთო. მართლაც ლამაზი, პატარა და კოხტა სტადიონი გქონიათო, ვუპასუხეთ. ეგ კიდევ არაფერი, „სკონტოს“ პრეზიდენტი გიუნტის ინდრიკსონი ქალაქში ისეთ სტადიონს აშენებს, უკეთესი არ შეიძლებაო, გვეუბნება პოლიციელი. ენა კინაღამ ჩაგვივარდა.

СУББОТА

გიუნტის ინდრიკსონი

ერთ საათში თამაშიც დაიწყო. მორჩა. ქართველები უჟმურზე ვართ. დანა პირს არ გვიხსნის. პრესკონფერენციაც დამთავრდა. ძოძუაშვილს წვერ-ულვაშით დამშვენებული კაცი მიუახლოვდა. მარჯვენა გაუწოდა, გადაეხვია, მადლობის ნიშნად თავი დაუქნია და წასვლა დააპირა...

— ბატონო გიუნტის, გამარჯობათ, საქართველოდან...

— გიუნტის, ქართველი ჟურნალისტია, გაზეთ „სარბიელიდან“, ეგებ რამდენიმე წუთი დაუთმო — გამაწყვეტინა რევაზ ძოძუაშვილმა.

— რას ამბობთ, სიმოვნებით. რამდენიც გნებოთ, ვისაუბროთ.

— სულ რამდენიმე წუთი, აეროპორტისკენ მიმეჩქარება. გილოცავთ დღევანდელ გამარჯვებას.

— ოო, გმადლობთ. თუ დამიჯერებთ, ჩვენს მოგებას ისევე ვერ წარმოვიდგენდი, როგორც თქვენ საქართველოს დამარცხებას.

— მწვრთნელში გაგიმართლათ.

— რა თქმა უნდა. რეზო ძოძუაშვილი ისეთი მწვრთნელია, რომელსაც ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა. ყოველივე ჩვენი შრომის დაფასებაა. ძოძუაშვილმა და ფეხბურთელებმა მართლაც გამახარეს.

— თქვენზე ბევრს უთქვამს, ფეხბურთისთვის არაფერს იშურებსო. ასე რომ, გამარჯვება თქვენივე გარჯის ნაყოფია.

— ეგრეა. ოფლს ვღვრით, ვმუშაობთ, ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ლატვიაში ფეხბურთი იყოს. თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ვაპირებთ. ჩვენი დრო, რეალურად რომ ვთქვათ, ჯერაც არ მოსულა. ისევ უკან ვართ, წამყვან საფეხბურთო ქვეყნებს დიდად ჩამოვრჩებით.

— ფული არ გენანებათ, მთავარი ეგაა.

— მართლაც ბევრს ვხარჯავთ. გაისად 31 მარტს საბერძნეთის ნაკრებს უკვე ახალ სტადიონზე ვუმასპინძლებთ. ყველაფერი იდეალურად იქნება. 13-ათასიანი ტრიბუნები, მგონი, საკმარისი იქნება ჩვენი გულშემატკივრებისთვის. ჩვენს ბაზაზე 10 მინდორი უნდა გაკეთდეს, მათ შორის ხელოვნურსაფარიანებიც, ლატვიაში სხვანაირი კლიმატია და თუ რაიმე გვსურს, ბუნებრივ პირობებთან შეგუებაც გვმართებს. სპორტული კომპლექსი ავაშენეთ. თანამედროვე სპორტულ ინვენტარზე ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, ვცდილობთ, რა გამოგვივა, მომავალი გვიჩვენებს. მომავალში ხალხის განწყობასაც ვგულისხმობ. დღესდღეისობით ჩვენთან ფეხბურთი არ უყვართ, ზოგმა ისიც არ იცის, რამდე- ნიმე წუთის წინ რა რანგის მატჩი და- მთავრდა ამ სტადიონზე. ლატვიაში უფრო სპორტის ზამთრის სახეობებს და კალათბურთს ეთაყვანებიან, ფეხბურ- თს ნაკლებად. ჰოკეიში, ბიატლონში, ბო- ბსლეიში წარმატებებისთვის მიგვიღწე- ვია, კალათბურთზე აღარას ვამბობ. ახლ ფეხბურთის დრო მოდის.

— ხარჯებს მოგებაც მოსდევს?

— შემოსავალზე არ ვფიქრობ. რასა- ვაკეთებთ, პირველ ყოვლისა ჩვენივე ხა- ლხისთვის. ადრე თუ გვიან მე წავალ ჩემისთანებიც, მაგრამ რაც აშენდა, რა- კეთდება, ლატვიელებს არ დარჩებათ ივარჯიშებენ, გაჯანსაღდებიან, ხულიგ- ნობა, ნარკომანობა მოიისპობა. ამას არაფე- რი სჯობს. ეს თითოეული ბიზნესმენი საქმე და ვალია. სპორტი ხომ ცხოვრე- ბაა, ჯანმრთელობა, სილამაზე. საქართ- ველოშიც ხომ ეგრეა. ყველგან ასე ფი- ქრობენ. ჩემი მოგება ის იქნება, რო- ჯანმრთელ, სულით მხნე ლატვიელს და- ვინახავ.

— გვითხრეს, სასტუმრო „ლატ- ვიაც“, სადაც საქართველოს ახალ- გაზრდული ნაკრები ცხოვრობდა, თქვენი საკუთრებაა.

— მთლად ჩემი არა. ერთ-ერთი მეპატ- რონე ვარ. მგონი, კარგი სასტუმროა. თვ- ების წინ გავარემონტეთ. ახლა ყველა მ- თხოვნას პასუხობს. მოხარული ვარ, თ- ვენებმა სწორედ „ლატვია“ რომ ირჩი- საცხოვრებლად. გული მწყდება, სათან- დო პატივი ვერ გეცით, ძალიან დაკავებუ- ლი ვიყავი. ახალგაზრდული გუნდების თ- მაშსაც მთლიანად ვერ ვუყურე, მეორ- ტაიმს დავესწარი. ღირსეულად გაიმ- რჯვეთ, კარგი თაობა გყავთ, ეს ბიჭებ- თავის სიტყვას სულ მალე იტყვიან. ქარ- თული საფეხბურთო ნიჭი უშრეტია.

— ყველაფერს ნიჭი რომ ვერ შვე- ლის...

— ეგეც მართალია. ხელშეწყობა ყვე- ლაფერს სჭირდება. მე კი ლატვიელ ფეხბურთელების იმედი მაქვს, როცა ის- წავლიან, ყველაფერი კარგად იქნება. უ- ხლოეს მომავალში ფეხბურთის ფედე- რაციაში რეფორმების გატარებას ვაპი- რებთ. ეროვნული ჩემპიონატის სტრუქ- ტურა ცოტა უნდა შევცვალოთ. სხვ- ევროპული ქვეყნების გამოცდილებას ვ- თვალისწინებთ. სათამაშო დონეც ნელ- ნელა ამაღლდება.

— „სკონტოს“ პრეზიდენტი ბრძა- ნდებით, ფეხბურთის ფედერაციი- საც. კლუბი, ცოტა არ იყოს, პრი- ვილეგირებული ხომ არაა?

— არა, რას ამბობთ. წეს-კანონი ერ- თია. მარტო „სკონტოსთვის“ არ ვმუშ- ობთ. სხვა ნორმალური კლუბებიც გვყა- პოტენცია ემჩნევათ, თანაც შეძლებულ- მეპატრონეები ჰყავთ. მარტო „სკონტო“ არაფერია, ფედერაციაც ყველაფერს აკე- თებს, რათა ყველა კლუბი თანაბარ პირობებში იყოს...

თვითმფრინავის აფრენის დრო ახლო- ვდებოდა. მე და ჩემი კოლეგა ავთანდი- გურასაშვილი „მერსედეს 600-ში“ ჩაგვ- სხა, საჭეს თავად მიუჯდა და თქვენებ- ახლავე დაგაწევთო, გვითხრა. გზად რა- დიო ჩაირთო — „სკონტო-რადიო“ მო- გესალმებათო, ამბობდა დიჯეი. თურმ- ესეც გიუნტის ინდრიკსონისა ყოფილ- ამ რადიოს მთელი ლატვია უსმენს. ჰო- ლდინგური კომპანია „სკონტოთი“ ჰ- მთელი ლატვია ამაყობს. ჩვენ?

კობა ინასარიძ-

...მერე კი, სისხარტე-მოქნილობაშიც გაწვრთნის შეგირდებს ძოძუაშვილი

ამირან ბარდაშაძის ფოტო

...ბარბოდა, მაგრამ დარჩა

...ს მთელი იმ ხნის მანძილზე აკრი-...ებდნენ, რაც ნაკრებს ხელმძღვანე-...და.

...რიტიკა, შენიშვნები, შეცდომაში მხი-...ა, კვლავ კრიტიკა და ასე გრძელ-...და კვირიდან კვირამდე, თვიდან თვე-...ნლიდან წლამდე...

... იცით, სადამდე მივედი? ერთი პირო-...ფიქრე, საერთოდ წავალ-მეთქი საფ-...ეთიდან. მსოფლიოს ჩემპიონატი რომ ...ოგვეგო, ერთი დღეც არ გავჩერდე-...ი სამშობლოში — შერჩეულიც კი ...და ქვეყნები, სადაც ვიცხოვრებდი. ...მხელთ — ევროპაშიც კი არ ვაპი-...ი დარჩენას — საფრანგეთის ერო-...ნ გმირი, მსოფლიოს ჩემპიონთა მწ-...ვნელი ემე ჟაკე „ფრანს ინფო რადი-...კორესპონდენტს გულს უხსნიდა.

წარმოგიდგენიათ, რამხელა ფსიქოლო-გიური ზეწოლის ქვეშ უნდა ყოფილიყო იგი, ასეთი რამ რომ ეფიქრა? ეტყობა, მას ძალიან, ძალიან უჭირდა. ერთხელ ისიც განაცხადა, კიდევ კარგი, გუნდმა პარგვაელებთან არ წააგოო.

...მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალი. ტურნირის მასპინძელი და ჩემპიონობის კანდიდატი საფრანგეთი ერთი შეხედვით იოლად დასაძლევ მეტოქეს, სამხრეთამერიკელ სტუმარს, პარაგვაის ნაკრებს ვერ ამარცხებს. რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება საშიშროება იმისა, რომ ფრანგთა ოცნება ბუშტივით გასკდება. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი გასარღვევი ხდება პარაგვაელთა დაცვა. მეტიც, ფრანგები უკვე ვეღარ შედიან შილავერტის საჯარიმოში, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა არბიტრს გუნდები პენალტების დასარტყმელად უნდა გაეხმო, ბლანმა იხსნა მასპინძლები.

— მაშინ შვებით ამოვისუნთქე. როცა გოლი ჩვენ გავაქნიდა, როგორ არ გამხარებია, მაგრამ ბლანის შედეგიანმა დარტყმულმა სულ სხვა გრძნობა მომგვარა. მე გავიხარე არა გარეგნულად, არამედ შინაგანად. ძალიან გავიხარე — ისევ ჟაკეს აღიარებიდან.

...მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედ-ფინალი. ზიდანდამატებული საფრანგეთის ნაკრები მეორედ გადარჩა ტურნირიდან გამოთიშვას. ამჯერად მეტოქე გაცილებით ძლიერი იყო — იტალია, ერთადერთი გუნდი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე ვერ დაამარცხეს ფრანგებმა. მასპინძლებსაც ჰქონდათ მომენტები, იტალიელებსაც, მაგრამ კვლავ დამატებითი დრო. მერვედფინალისგან განსხვავებით, აქ პენალტების დანიშვნა გახდა საჭირო.

— ლისარასუმ რომ ააცილა, კინაღამ წნევამ დამარტყა. გავუძელი. მერე ალბერტინიმაც ვერ გაიტანა და იმედი მომეცა — ესეც ჟაკეს ნათქვამია.

ფრანგთა ბოლო დარტყმა ბლანმა გაიტანა.

იტალიელთა ჯერია. გამორბის ლუიჯი დი ბიაჯო, უძლიერესად ურტყამს... საფრანგეთი ნახევარფინალშია. ჰო, მართლა — დი ბიაჯომ ძელი შეაზანზარა.

— ბაზაზე რომ დავბრუნდი, საშინლად მომინდა ხმამაღალი სიცილი — მორიგი აღიარება.

...მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი. მეტოქე მებრძოლი ხორვატიაა.

კვლავ გადარჩა ემე ჟაკე, უპირველეს ყოვლისა კი საფრანგეთი — დავორ შუკერის გოლმა ფრანგები შოკში ჩააგდო, თუმცა მალე ლილიან ტურამმა ივაჟკაცა — ორი გოლი მცველისგან მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ეს ძალიან, ძალიან დიდი მიღწევაა.

ფრანგები ფინალში გავიდნენ.

— ხორვატებთან გამარჯვების შემდეგ ტურამს ერთი სიტყვა ვუთხარი — ყოჩაღ! ეს იყო და ეს. მაშინ ვირწმუნე, რომ საშშობლოდან გადახვეწა არ მომიწევდა — ვისი ნათქვამია, ალბათ, ხვდებით.

...მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი.

ჟაკეს არაფერი სჭირდა გადასარჩენი — ფრანგებმა აჯობეს ბრაზილიელებს და ჩემპიონები გახდნენ.

ოქროს თასთან ერთად ჟაკეც საფრანგეთში დარჩა.

„და აი, მე აქ ვარ. არსად წავსულვარ“ — ემე ჟაკე.

ირაკლი ილაშვილი

საფრანგეთმა ორივე შეინარჩუნა

...ადამდგარი მილორადი

...ილორად კოსანოვიჩი გადადგა.

...ცი, რომელიც ცდილობდა, „ცრვენა ზვეზდასთვის“ ძველი ...ლტიეი აღედგინა, გუშინ, უეფას თასის მეთექვსმეტედფი-...ში ლიონის „ოლიმპიკთან“ წაგების შემდეგ გუნდიდან ...ოდა.

...წვრთნელობას ბელგრადელებს, დროებით კოსანოვიჩის თა-...ვმწე ვოინ ლაზარევიჩი გაუწევს.

...ალერ იყო ფოთის „კოლხეთი“. ახალგაზრდა, პირტიტველა ...ებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, ზღვისპირელები შინ, ...ბლიურ „ფაზისზე“ 0:4 შეარცხვინეს, ხოლო ის, რაც ...ოელებს ბელგრადში დაემართათ, უბრალოდ, სირცხვილია. ...მარცხის გახსენება შემზარავია — 0:7.

...ფოთში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ კოსანოვიჩმა ...აცხადა, „ცრვენა ზვეზდას“ ეს თაობა მეტად ნიჭიერია, ამ ...ონის წინ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დავკარგეთ, ...რამ გუნდის იმედი მაინც მაქვსო.

...მერე იყო ვოლგოგრადის „როტორი“. ფოთელებთან შე-...ებით ძლიერი მეტოქე. ყმწვილმა იუგოსლავიელებმა მშო-...ური ფეხბურთის პრესტიჟი არც რუსებთან შეარცხვინეს ...ოლგოგრადელებს შინ 2:1 აჯობეს, სტუმრად კი, მიუხე-...ედ იმისა, რომ მეორე ტაიმში ერთი ბურთით ჩამორჩნენ, ...ი ბრწყინვალე კონტრშეტევა განახორციელეს და კვლავ ...მოიგეს.

...„ცრვენა ზვეზდას“ აშკარად ეტყობოდა მწვრთნელის ხელი. ...რუსებთან მოგების მერე კოსანოვიჩმა ასეთი რამ თქვა — ...ები გამოუცდელნი არიან, თუმცა ჩვენი გუნდი იმდენადაა ...ერული, გაცილებით გამოცდილი მეტოქეების ძლევა არ ...ჭირდებაო.

...გუნდი ისე თამაშობდა, მოულოდნელი არაფერი ჩანდა.

...მერე საფრანგეთის მეორე პრიზიორი „მეცი“ გამოჩნდა. ...ელგრადში „ცრვენა ზვეზდამ“ კვლავ მოიგო 2:1, სტუმრად ...ამავე ანგარიშით წაგო. პენალტებშიმ მტკიცე ნერვები ...უჩრებს აღმოაჩნდათ და 1991 წლის ჩემპიონთა თასის მფ-...ობელი გუნდიც მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

— ამ გუნდს დიდი პერსპექტივა აქვს. ჩვენ შევძლებთ ...ედფინალში გასვლას! — კვლავ კოსანოვიჩის სიტყვებია. ...ისევ ფრანგები. ამჯერად „ლიონი“.

...ფორედ იმ დროს, როცა ბელგრადულ მატჩამდე რამდენი-...დღე რჩებოდა, უეფამ კოსოვოში შექმნილი დაძაბული ...ვითარების გამო იუგოსლავიურ გუნდებს საშინაო თამა-შების მეზობელ ქვეყანაში გადატანა უბრძანა.

„ცრვენა ზვეზდა“ „ლიონს“ ბუქარესტში დახვდა და... 1:2 წააგო.

კოსანოვიჩი ადგა და წავიდა.

არაა გამორიცხული, „ცრვენა ზვეზდა“ მერვედფინალში გავიდეს.

ბადრი ძმელაძის ფოტო

მილორად კოსანოვიჩი

მუსულმანთა შორის

პირველი, რაც ახალ რეიტინგშია აღსანიშნავი, ეს გუნდების რაოდენობის გაზრდაა — ერითრეას დამატებით, ფიფას და კოკა-კოლას ერთობლივმა რეიტინგმა უკვე 195 გუნდი მოიცვა.

ლიდერთა ათეული, სამი ცვლილების გარდა ისევე დარჩა, საქართველოს ნაკრებმა კი ბოლოდროინდელი წარუმატებლობის გამო საგრძნობლად დაიხია უკან.

ახალი რეიტინგი 18 ნოემბერს გამოქვეყნდება.

1. ბრაზილია	73.57	1	31. ბელგია	52.15	28
2. საფრანგეთი	69.01	2	32. იამაიკა	51.83	30
3. გერმანია	67.37	3	33. ავსტრალია	51.09	36
4. ხორვატია	66.47	4	34. პოლონეთი	50.23	34
5. არგენტინა	65.77	5	35. რუსეთი	49.89	27
6. იტალია	65.04	7	36. ისრაელი	49.27	40
7. ჩეხეთი	64.43	6	37. შოტლანდია	49.13	39
8. იუგოსლავია	64.19	8	38. ქუვეითი	48.37	52
9. ჰოლანდია	62.71	9	39. პორტუგალია	48.17	41
10. ინგლისი	62.16	11	40. კამერუნი	47.67	37
11. მექსიკა	61.76	10	41. ურუგვაი	47.61	35
12. რუმინეთი	59.81	13	42. უკრაინა	47.43	49
13. მაროკო	59.62	15	43. კოტ დივუარი	46.76	45
14. ნორვეგია	59.12	16	44. ირანი	45.91	37
15. ჩილე	58.69	12	45. ბულგარეთი	45.41	47
16. ესპანეთი	58.63	14	46. განა	45.39	60
17. აშშ	57.04	17	47. ტრინიდადი	44.95	44
18. დანია	55.33	18	48. ანგოლა	44.60	46
19. კორეა	55.12	19	49. უნგრეთი	44.15	59
20. ეგვიპტე	55.07	20	50. ტაილანდი	43.59	43
21. იაპონია	54.88	21	51. კოსტა რიკა	43.51	50
22. ავსტრია	54.78	29	52. ირლანდია	43.45	54
23. ზამბია	54.55	23	53. ფინეთი	43.40	55
24. პარაგვაი	54.26	22	54. მალი	42.94	53
25. შვედეთი	54.05	25	55. საბერძნეთი	42.86	66
26. ტუნისი	53.88	26	56. ყატარი	42.62	75
27. კოლუმბია	53.05	24	57. ჩინეთი	42.58	48
28. სამხ. აფრიკა	52.73	31	58. საამიროები	42.55	64
29. სლოვაკეთი	52.56	33	59. საქართველო	42.52	42
30. საუდეთი	52.32	32	60. თურქეთი	42.51	61

როცა შავი აშავებს

21 ოქტომბერს იგი 31 წლისა გახდა, მაგრამ, ალბათ, მთელი ცხოვრების მანძილზე ასეთი ცუდი დაბადების დღე არ გასთენებია — ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა პოლ ინსი ძველი ცოდვებისთვის დასაჯა.

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, სტოკჰოლმში, ინგლისი შვედეთს ეთამაშებოდა. 67-ე წუთზე, როცა სტუმრები 1:2 აგებდნენ, იტალიელმა არბიტრმა პიერლუიჯი კოლინამ ინსი უხეშობისთვის მეორედ გააფრთხილა და მოედნიდანაც მიაბრძანა. გაბრაზებულმა შავკანიანმა ფეხბურთელმა კი ჯერ ლანძღვა-გინებით აიკლო იქურობა, მერე მსაჯს მიუბრუნდა და არც მას დააკლო არაფერი, სულ ბოლოს კი მეტად დასაძრახი საქციელი ჩაიდინა — ხალხის დასანახად შუა თითი ზემოთ ასწია. ერთი სიტყვით, თავს ყველაფრის უფლება მისცა.



სპორტელების არქივიდან

პოლ ინსი

უეფამ ინსი საკადრისად დასაჯა — გაძევების გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ფეხბურთელი საერთოდაც „გაანადგურა“. ქვეყნის ფეხბურთის კეთილდღეობაზე მზრუნველი ხალხის გადაწყვეტილებით პოლ ინსი, ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და მართლაც ძლიერი ფეხბურთელი, ნაკრებში ივნისამდე ვერ ითამაშებს, არათუ ოფიციალურ, ამხანაგურ მატჩებშიც.

— ასე აჯობებს. ზოგიერთ ფეხბურთელს თავი ანგელოზი და ხელშეუხებელი ჰგონია. დაფრინავენ სიზმრებში, მაგრამ ასე არაა. ჩვენ ადამიანები ვართ. ჩვენი საქმე ფრენა კი არა, სიარულია. პოლ ინსმაც კეთილი ინებოს და იაროს. მან სტოკჰოლმში ჩადენილი საქციელით მთელი ინგლისი შეარცხვინა, ჩვენ კი სულაც არ გვსურს, მის გამო გვრცხვენოდეს. სასჯელი, ვფიქრობ, საკადრისია — სადისციპლინო კომიტეტის წევრი და ინსის სასტიკად დასჯის მომხრე ჯონ გორდონი ემოციური კაცია. ზემოთქმულიდან ეს ნათლად ჩანს.

თამაშები თამაშებად, მაგრამ 21 ოქტომბერს ინსი 31 წლის აღსანიშნავად დიდი წვეულების გამართვას აპირებდა. გამართა კიდეც, მაგრამ გაანგარიშებული 25 ათასი გირვანქის ნაცვლად 40 ათასის გადახდა მოუწია — 15 ათასით შვედეთში უსაქციელობისთვის დასაჯეს.

A ჯგუფი

პორტუ 3:0 კროაცია

1:0 დორივა (33), 2:0, 3:0 ზაპოვიჩი (43, 75)

პორტუ: კრალი, სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ალვეში, მენდესი, დორივა, პაულინიუ სანტუში, ზაპოვიჩი (ჩიპი 89), კაპუჩო (რუი ბარუში 77), დრულოვიჩი (ოლივეირა 62), ფარდელი

კროაცია: ლადჩი, ტოკიჩი, იურიჩი, სიმიჩი, რუკავინა, კრუნარი, სარიჩი (სუბიჩი 46), იურჩიჩი, იელიჩიჩი (მუიჩინი 46), მარიჩი, სოკოტა

ოლიმპიაკოსი 1:0 აიაქსი

1:0 ალექსანდრისი (38)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპოლუსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, პურსანიდისი, ჯანაკოპულოსი, გოგიჩი (ოფრიგაე 74), ჯორჯევიჩი, კარაპიალისი (ნინიდისი 86), გეორგიატოსი, ალექსანდრისი (პასალისი 69), ანატოლაკისი

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ოლსენ, რუდი, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ლიტმანენი, ვიჩნე, ვამბერტო (დანი 46), არველაძე (ბენი 79), გრონკიერი (ძინძლაძე 46)

ჰოლანდიის ჩემპიონისთვის წარუმატებელი სეზონი გრძელდება. ამჯერად „აიაქსი“ საბერძნეთს ეწვია „ოლიმპიაკოსთან“ ურთიერთობის გასარკვევად და შინ ხელცარიელი დაბრუნდა. მატჩში ქართველ ლეგიონერთაგან ორივემ მიიღო მონაწილეობა, ოღონდ ქინქლაძესა და შოთა არველაძეს ერთად ყოფნა მხოლოდ 33 წუთი მოუხდათ. თუმცა ამას ამსტერდამული კლუბისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს — იგი დამარცხდა.

გოლი პირველი ტაიმის დასრულებამდე 7 წუთით ადრე მასპინძელთა თავდამსხმელმა ალექსის ალექსანდრისმა პრედრაგ ჯორჯევიჩის გადაცემის შემდეგ უძლიერესი ცაცით გაიტანა. ბერძნებს თავისუფლად შეეძლოთ ორი ბურთის სხვაობითაც მოეგოთ, მათ საკმაოდ ბევრი ჰქონდათ ასეთი შანსი, რომელთაგან 73-ე წუთზე სტელიოს ჯანაკოპულოსის ახლო მანძილიდან გაცუდებულს გამოყოფდით. რაც შეეხებათ სტუმრებს, მათ გოლის ტატანის რეალური შანსი ერთადერთხელ ჰქონდათ, როდესაც მეორე ტაიმის დასაწყისში რიჰარდ ვიჩხემ საჯარიმო მეტად სახიფათოდ შეასრულა, მაგრამ „ოლიმპიაკოსის“ მეკარე ელეფტეროპოლუსმა შესაშური რეაქცია გამოავლინა.

— დღევანდელი გამარჯვება უდიდესი შრომისა და მკაცრი დისციპლინის შედეგია, დღეის შემდეგ უკვე შეიძლება მეოთხედფინალში გასვლაზე ფიქრი, თუმცა მოდუნების უფლება რომ არ გვაქვს, არც ეს გვესწავლება — ბერძენთა თავკაცი დუშან ბაჟევიჩი ამაყი იყო.

ბოლო დროს კრიტიკის ობიექტად ქცეული მორტენ ოლსენი კი თავს იმართლებდა: „ბიჭებისგან მეტს ველოდი, თუმცა მათ იმედები გამიცრუეს. კი, „ოლიმპიაკოსი“ პირველ ტაიმში მართლაც შეუდარებელი იყო, მაგრამ მატჩის განახლების შემდეგ ბერძნებმა უკლეს და ამით აუცილებლად უნდა გვესარგებლა.“

რაც შეეხება ჯგუფის მეორე შეხვედრას, ეტყობა, ხორვატიის ჩემპიონთათვის რობერტ პროსინეჩკი ძალიან ბევრს ნიშნავს, ვინაიდან მის არყოფნაში „კროაცია“ სამოყვარულო გუნდს დაემსგავსა. „პორტუსაც“ მეტი რა უნდოდა, ადგა და 35 წლის ლადიჩს, რომელმაც სულ ახლახან სანაკრებო კარიერა დაასრულა, სამი უპასუხო გოლი გაუტანა, ეს დორივამ ერთხელ და ზაპოვიჩმა ორჯერ მოახერხეს.

ოლიმპიაკოსი — აიაქსი. მასპინძლებმა ჰოლანდიელებს აჯობეს, შოთა არველაძე კი ერთი კვირის მანძილზე მეორედ ესტუმრა საბერძნეთს და კვლავ ვერ გაიტანა

		1	2	3	4	ბ	ქ
1	ოლიმპიაკოსი		25.11	1:0	2:0	5:2	7
2	პორტუ	2:2		09.12	3:0	6:4	4
3	აიაქსი	04.11	2:1		25.11	2:2	4
4	კროაცია	09.12	0:0	04.11		0:5	1

B ჯგუფი

ატლეტიკი 0:0 იუვენტუსი

ატლეტიკი: ი. ეჩებერია, ლარსაბალი, ალკორტა (რიოსი 4), კარლოს გარსია, ლაკრუსი, ურუტია (ხორხე პერესი 85), ალკისა, იმსი, გერერო (ესკუერო 58), ურსაისი, ხ. ეჩებერია

იუვენტუსი: პერუცი, პესოტო (იულიანო 28), მონტერო, ტუდორი, ბირინდელი, დავიდი (ტაკინარდი 75), დეშამპი, დი ლივიო, დელ პიერო (ფონსეკა), ინიაგი, ზიდანი

რუსენბორგი 3:0 გალათასარაი

1:0, 2:0, 3:0 რუშველდტი (68, 86, 90)

რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი, სკამელსრუდი, ვინსენი (მაიერი 75), სორენსენი (დალუმი 75), რუშველდტი, მინი იაკობსენი (ჰერნესი 54)

გალათასარაი: ტაფარელი, უსალი, პოპესკუ, ვედათი, ფაბიანი, უმითი (თოლუნაი 75), ოკანი (ბელლოზოლუ 88), ერგუნი, ჰასან სასი (არიფი 86), ჰაკანი, ჰაჯი

ინტერი — სპარტაკი. ის მოვიდა!

— მთავარია, ჩვენ ამ მატჩმა ბევრი გვასწავლა. ჩემპიონთა ლიგაში თამაშს სულ სხვა შემართება და გამოცდილება სჭირდება, თანაც სულ ძლიერ მოწინააღმდეგესთან გიწევს პაექრობა. ამიტომაც მიუხედავად მხოლოდ ერთი ქულისა, დღევანდელ შეხვედრას წარმატებულად ჩავთვლიდი. გარდა ამისა, ჯგუფში მეტად ქაოსური მდგომარეობაა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ყველას აქვს, მათ შორის, ჩვენც — იხტიბარს არ იტეხდა „იუვენტუსთან“ 0:0 დასრულებული მატჩის შემდეგ ბილბაოელთა ბასკური წარმოშობის ფარეგი თავკაცი ლუის ფერნანდესი.

პირველ ტაიმში უპირატესობას მთლიანად მასპინძლები ფლობდნენ. მათ მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს, რამაც სახელოვანი მეტოქე, ცოტა არ იყოს, დააბნია, მხოლოდ ანჯელო პერუცი ირჯებოდა ჩვეულ დონეზე. რომ არა იგი, „ბებერი ქალბატონი“ სამშობლოში უეჭველად უქულოდ დაბრუნდებოდა.

გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი ბასკებს მე-18 წუთზე მიეცათ, როდესაც იტალიელთა კარის გასწვრივ ჩაწოდებულს ხოსება ეჩებერიამ მიუსწრო და ორიოდ მეტრიდან პირდაპირ პერუცის გაარტყა ბურთი. ამგვარი კომბინაცია „ატლეტიკმა“ კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა და გოლიც თითქმის გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მარჩელო ლიპიმ დროულად შეაფასა სიტუაცია და ჯანლუკა პესოტოს ნაცვლად მარკ ჯულიანო შეუშვა მინდორზე, რომელსაც დაცვის ცენტრის გამაგრება ჰქონდა დავალებული. ლიპის შეცვლამ გაამართლა (როგორც ყოველთვის) და თამაშიც გათანაბრდა.

შეხვედრის განახლების შემდეგ ფიცხი ბასკები კვლავ გაშმაგებით ეკვეთნენ მეტოქეს და საკმაოდაც შეაწუხეს, თუმცა იტალიელებმა მალე შეცვალეს სიტუაცია თავიანთ სასარგებლოდ, რაც უდავოდ მათ მაღალ კლასზე მეტყველებს. მეტიც, 78-ე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტნის, ბასკი დიდიე დეშამპის ჩაწოდებული ინძაგის მასპინძელთა კარის ბადეში მოათავსა, მაგრამ დანიელმა არბიტრმა კიმ ნილსენმა თამაშგარე დააფიქსირა, რასაც „პიპოს“ მხრიდან პროტესტი, ხოლო მსაჯის მხრიდან მატჩის ერთადერთი ყვითელი ბარათი მოჰყვა.

შეხვედრის შემდეგ ტრადიციულად აუღელვებელმა ლიპიმ ასეთი რამ თქვა: „დღეს „ატლეტიკმა“ აშკარად გვაჯობა, თუმცა არც ჩვენ გვითამაშია ცუდად, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. დარწმუნებული ვარ, საპასუხო მატჩში სურათი მკვეთრად შეიცვლება“.

ყველასთვის მოულოდნელად, „რუსენბორგი“ B ჯგუფს სათავეში მოექცა. ამას ნორვეგიელები, უპირველეს ყოვლისა, სიგურდ რუშველდტს უნდა უმადლოდნენ, კაცს, რომელმაც მატჩის ბოლო 22 წუთში თურქეთის ჩემპიონებს სამი უპასუხო გოლი გაუტანა.

სტუმართა გამოცდილი გოლკიპერის, ბრაზილიელი კლაუდიო ტაფარელის კარში გასული გოლებიდან საუკეთესო პირველი იყო, როდესაც რუშველდტმა სამი თურქი დატოვა მშრალზე და ტაფარელიც ზედ მიაყოლა. ეს 68-ე წუთზე მოხდა.

— დღესდღეობით უბედნიერესი კაცი ვარ. ვერაფრით წარმოვიდგენდი 0:0-ზე, რომ 3:0-ს მოვიგებდით და სამივეს მე გავიტანდი. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს მოგება მარტო ჩემი დამსახურება არ არის, მთლიანად გუნდმა ითამაშა შესანიშნავად — აღნიშნა გახარებულმა რუშველდტმა შეხვედრის დასრულებისთანავე. სხვათა შორის, იგი ნორვეგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია — 25 მატჩში 27 გოლი აქვს გატანილი, რაც ევროპის წამყვან კლუბებს არ გამოპარვიათ. თავდამსხმელს ლონდონის „არსენალი“ შეეხმიანა, მაგრამ „რუსენბორგის“ თავკაცობისგან ასეთი პასუხი მიიღო — რუშველდტი არ იყიდება!

თურქებს გოლის გატანა რეალურად მხოლოდ ერთხელ შეეძლოთ, როდესაც პირველ ტაიმში კართან ახლოს მდგომმა ოქან ბურუკმა ბურთს ღონივრად დაჰკრა თავი, მაგრამ ნორვეგიელთა კარის დარაჯი არასონი შეუდარებელი იყო. სტუმრებმა უხეშობითაც გამოიჩინეს თავი — ორი ყვითელის მიღებისთვის ვედათმა გასახდელს დროზე ადრე მიაშურა.

		1	2	3	4	ბ	ქ
1	რუსენბორგი		3:0	1:1	25.11	5:2	5
2	გალათასარაი	25.11		04.11	2:1	4:6	4
3	იუვენტუსი	09.12	2:2		04.11	3:3	3
4	ატლეტიკი	1:1	09.12	0:0		2:3	2

C ჯგუფი

ინტერი 2:1 სპარტაკი

1:0 ვენტოლა (32), 2:0 რონალდო (59), 2:1 ციმბალარი (65)

ინტერი: პალიუკა, სიმეონე, გალანტე, სილვესტრი, ვესტი, სოუზა, ვინტერი, ჯუ ჯორკაეფი (პირლო 34), ვენტოლა (სამორანო 84), რონალდო (ზე ელიასი 74)

სპარტაკი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, ანანკო, პარფიონოვი, ბარანოვი (მილიოშინი 81), ციმბალარი, რომაშენკო, ტიხონოვი, პისარევი (კანეშჩევი 66), რობსონი

რეალი 6:1 შტურმი

0:1 ვასტიჩი (8), 1:1 სავიო (12), 2:1 რაული (22), 3:1 იარნი (60), 4:1 პოპოვიჩი (66 საკ.), 5:1 იარნი (79), 6:1 სავიო (90)

რეალი: ილგნერი, პანუჩი, სანჩისი, იერო, რობერტო კარლოსი, კარემბუ (საიტ 46), ზიედორფი, იარნი, რაული (გუტი 80), მიატოვიჩი (შუკერი 74), სავიო

შტურმი: სიდორჩუკი, ფოდა, პოპოვიჩი, ნოუკერნერი (კოსიანი 67), შოპი, მაკლინი, რაინმაიერი, შუბი, პოში, ვასტიჩი (მარტენსი 89), ჰაასი

„ინტერი“ და „სპარტაკი“ წლეულს მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. ორჯერ უეფას თასის ნახევარფინალში და ერთხელ გუშინწინ. სამივე მატჩი იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა, თანაც ერთნაირი ანგარიშით 2:1. რუსების კარში გატანილი გოლების ორმოცდაათ პროცენტი კი ბრაზილიელ რონალდოზე მოდის. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა ფილიმონოვი მოსკოვში ორჯერ, ერთხელ კი ოთხშაბათს „სან სიროზე“ დაამწუხრა.

მატჩი მოსკოველთა ტერიტორიული უპირატესობით დაიწყო. სტუმრები უფრო აკონტროლებდნენ ბურთს და რამდენჯერმე საკმაოდ სახიფათო შორეული დარტყმაც შეასრულეს. პირველი ტაიმის შუა აგულში სიტუაცია გათანაბრდა, გააქტიურდა ახალგაზრდა ვენტოლა, რომელმაც იმ დღეს მართლაც თავდადებით იბურთავა. ბევრს მოძრაობდა რონალდოც, მაგრამ მას აშკარად ეტყობა, რომ კარგახანია, ბურთთან კონტაქტი არ ჰქონია. თუმცა ის, რაც მან 32-ე წუთზე გააკეთა, ბევრს ნამდვილად არ ხელეწიფება. სტუმართა კარში ჯარიმა დაინიშნა, ბურთთან რონალდო და ვენტოლა მივიდნენ ყველას ეგონა, საჯარიმოს პირველი შეასრულებდა, იგი გაიქცა კიდეც ბურთისკენ, მოიქნია მარჯვენა და მარცხენა ქუსლით ბურთი ვენტოლას დაუგორა. საქმე მოთავებული იყო, რუსების „ცოცხალ კედელი“ და მეკარე ადგილზე იყვნენ გაშეშებულნი და ვენტოლა დარტყმაც უნაკლო, ძალიან ლამაზი გამოდგა — 1:0. ტაიმი ასევე დასრულდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ინტერი“ დომინირებდა. იტალიელებს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ეს მხოლოდ 59-ე წუთზე მოახერხეს. ისევ ვენტოლა და რონალდო. იტალიელი მარჯვენა ფრთაზე შეიჭრა და კარის გასწვრივ ჩაწოდა ფილიმონოვი უხერხულად გამოვიდა კარიდან, ცუდად მოიგერია და დაისაჯა: რონალდომ იგი და ერთი მცველი ერთი მოძრაობით ჩამოიცილა და ბურთი კარში შეაგორა.

ამის შემდეგ მილანელები დაწყნარდნენ, ჯიჯი სიმონიმაც, ეტყობა, მათ ანგარიშის შენარჩუნებისკენ მოუწოდა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც — ჯერ ციმბალარმა გაიტანა თავით, შემდეგ კი უპირატესობას მთლიანად „სპარტაკი“ დაეუფლა. მატჩი 90 წუთის ნაცვლად 100 წუთი მაინც რომ გრძელდებოდეს, რუსები იტალიიდან უეჭველად წამოიღებდნენ ერთ ქულას.

მადრიდში ესპანელებმა „შტურმს“ შტურმი მოუწყვეს. ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებულებმა მართლაც დიდებული სანახაობა აჩუქეს თავიანთ გულშემატკივრებს და ავსტრიელებს სულ კუდიანქვა ასროლინეს. არადა, მატჩის დებიუტი მეტად მოულოდნელი გამოდგა — მე-8 წუთზე სტუმართა კაპიტანმა ივიცა ვასტიჩმა ილგნერი უშანსოდ დატოვა. ამის შემდეგ კი დაიწყო...

— რაღა თქმა უნდა, როდესაც ასეთი მაღალი დონის ტურნირზე 6:1-ს მოიგებ, ბედნიერი უნდა იყო, თუმცა საწყისი თხუთმეტი წუთით მეტად უკმაყოფილო ვარ. იმ მონაკვეთში საქმე ჩვენვე გავიფუჭეთ, ძალიან ვღელავდი. ისე კი გავიმეორებ, შედეგით მეტად კმაყოფილი ვარ — ჩვეული სიფრთხილე და თავმდაბლობა კვლავ გამოიჩინა „სამეფო კლუბის“ ჰოლანდიელმა თავკაცმა გუს ჰიდინკმა.

ავსტრიელთა ფორვარდი მარიო პოში როგორ ხასიათზეც იქნებოდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: „სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს, ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. იქნებ ხალხს გაუკვირდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი — ჩვენ დასაწყისშივე გატანილი პირველი გოლის ეიფორიამ დაგვღუპა“.

		1	2	3	4	ბ	ქ
1	რეალი		09.12	2:0	6:1	9:3	6
2	სპარტაკი	2:1		04.11	25.11	5:3	6
3	ინტერი	25.11	2:1		1:0	3:3	6
4	შტურმი	04.11	0:2	09.12		1:9	0

D ჯგუფი

ბრონდბიუ 2:6 მანჩესტერი

1:4, 0:2 გიგზი (2, 21), 0:3 კოული (27), 1:3 დუგაარდი (34), 1:4 კინი (54), 1:5 იორკი (59), 1:6 სოლსკიაერი (61), 2:6 სანდი (90)

ბრონდბიუ: კროგი, კოლდინგი, ნილსენი (მ. იასენი 31), რასმუსენი, მ. იასენი (დასლვა 27), ბიური, რავნი, დუგაარდი, ლინდრუპი, სანდი, ჰანსენი (ბაგერი 66)

მანჩესტერი: შმაიხელი, ბრაუნი, გ. ნევილი, სტამი, ფ. ნევილი, სქოულზი, კინი, გიგზი (კრუიფი 59), ბლომკვისტი, კოული (სოლსკიაერი 59), იორკი (უილსონი 64)

ბაიერნი 1:0 ბარსელონა

1:0 ეფენბერგი (45)

ბაიერნი: კანი, ბაბელი (ლინკი 79), კუფური, იერემისი, ლისარასუ, ფინკი, ტარნატი, ეფენბერგი, ბასლერი, ელბერი (იანკერი 89), სალიჰამიჯიჩი (ციკერი 79)

ბარსელონა: ჰესპი, ოკუნოვო, აბელარდო, კოკუ, რაიციგერი, ხავი (ოსკარი 87), ჯოვანი, ლუის ენრიკე (ზენდენი 78), ფიგუ, რივალდო, ანდერსონი

„სიკვდილის ჯგუფისა“ და საერთოდ, ტურის ცენტრალური მატჩი მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა — ბუნდესლიგის ერთპიროვნულმა ლიდერებმა, ორმლებიც ოთხშაბათამდე ჩემპიონთა ლიგაში ერთი ქულით ჯგუფის ფსკერზე იმყოფებოდნენ, ესპანურ „ბარსელონას“ უმასპინძლეს და მოუგეს კიდეც. შეხვედრის ერთადერთი გოლი შტეფან ეფენბერგმა პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა.

— გაცილებით ადრე შეგვეძლო ანგარიშის გახსნა. ბენიუტში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შევქმენით, მაგრამ ბოლო დარტყმას ვერ ვასრულებდით. ეს ხშირად გუნდში ნევროზს იწვევს. კიდევ კარგი, დღეს ამას ადგურჩით. ძლიერ მიხარია, ასეთი რთული მეტოქე რომ დავამარცხეთ და სატურნირო მდგომარეობა ასე თუ ისე გამოვასწორეთ, მაგრამ პირველ ორ მატჩში გაკარგული დასანანი ხუთი ქულა თავიდან არ ამომდის — თქვა გერმანელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

ყოველთვის პრაქტიკული ლუის ვან გაალი ამჯერად თავდაჭერილი გახლდათ — ჩვენ კლავ ვინარჩუნებთ ჯგუფიდან გასვლის შანსებს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. დღევანდელ მატჩში ორი სრულიად განსხვავებული ტაიმი იყო — პირველში ძალიან ცუდად ვიჯოებოდით და, მადლობა ღმერთს, მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით, მეორე კი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია.

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ ფორტუნა აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი იყო შეუდარებელი და, შეიძლება ითქვას, თურქეთის მეკარეთან დაშვებული უხეში შეცდომა მან „ბარსელონასთან“ გამოასწორა. კანმა მართლაც საოცრებები მოაქმედინა, ორჯერ კი, როცა რივალდო და ჯოვანი იყვნენ გოლის მიზანთან, არაადამიანური რეაქცია გამოავლინა.

ოთხშაბათის „სარბიელში“ ვწერდით, სეზონის დასაწყისში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბრონდბიუს“ ამხანაგურ მატჩში 6:0 მოუგო და ამჯერად, ალბათ, ასე არ მოხდებაო. ასე მართლაც არ მომხდარა, მაგრამ ბევრი ფიქრობს, ვერც ამას ვიტყვით.

გუშინწინ მანჩესტერელები რაღაცით 60-იანი წლების ლეგენდარულ ბასბის გენიალურ „იუნაიტედს“ ჩამოჰგავდნენ. ისინი ევროკუპენჰაგენში იმას აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ ევროპის ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში მიუნხენის „ბაიერნის“ მძლეველ „ბრონდბიუს“ სახალხოდ მოსჭრეს თავი. მასპინძელთა განადგურებას უელსელმა რაიან გიგზმა დაუყარა საფუძველი, მან ჯერ მეორე, შემდეგ კი 21-ე წუთებზე გაიტანა, რასაც ენდი კოულმა კიდევ ერთი დააყოლა და ყველაფერი ნათელი გახდა. პირველი ტაიმი 1:3 დასრულდა, დუგაარდმა იყოჩაღა. მეორე ტაიმი, ისევე როგორც პირველი, მასპინძლებმა 1:3 წააგეს, ოღონაც გოლებიც იგივე თანმიმდევრობით გავიდა — კინმა, იორკმა და სოლსკიაერმა სამი გაიტანეს, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ დროში სანდიმ კიდევ ერთი გაქვითა.

— ეს ფანტასტიური შედეგია. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რაც გვინდოდა — გავიმარჯვეთ. დღეს მართლაც ყველაფერი გამოგვდიოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქმე მოთავებული გვაქვს და მეოთხეფინალის საგზური ჯიბეში გვიდევს. არა, წინ ძალიან რთული გზა გვაქვს და მისი წარმატებით გასავლელად ბევრი ოფლის ღვრა მოგვიწევს — ფრთხილობდა გახარებული ალექს ფერგიუსონი.

მას ადრე „ბრონდბიუში“ მოთამაშე პიტერ შმაიხელი ყველაფერში ეჭვთანხმა — დღეს მეტად იოლი გამარჯვება მოვიპოვეთ, მომავალში კი ასე ნამდვილად აღარ იქნება — თქვა გამოცდილმა მეკარემ.

ბაიერნი — ბარსელონა. ოლივერ კანი ოთხშაბათს მართლაც შეუდარებელი იყო

REUTERS მიუნხენიდან

		1	2	3	4	ბ	ქ
1	მანჩესტერი	⊕	3:3	09.12	04.11	11:7	5
2	ბარსელონა	21.11	⊕	04.11	2:0	5:4	4
3	ბაიერნი	2:2	1:0	⊕	21.11	4:4	4
4	ბრონდბიუ	2:6	09.12	2:1	⊕	4:9	3

E ჯგუფი

არსენალი 1:1 დინამო

1:0 ბერკამპი (74), 1:1 რებროვი (90)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ადამსი, ანელკა (ვიეირა 85), ბერკამპი, ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ, გარდე, ჰიუზი

დინამო: შოვკოვსკი, ლუფნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი, გუსინი (კარდაში 83), ბელკევიჩი

ლანსი 1:0 პანათინაიკოსი

1:0 ელუა (80)

ლანსი: ვარმუზი, სიკორა, დეუ, რული, დალმატი (ელუა 65), დებევი, ნიარკო, მრიდი, შმიცერი (მორეირა 75), ვერელი, ნუმა

პანათინაიკოსი: ვანდიკი, აპოსტოლაკისი, ვოკოლოსი, ასანოვიჩი, გუმასი, ლაგონიკაკისი (მიუკლანდი 83), მაურო (ალექუდისი 59), კოსტანტინიდისი, კოლა, ლიბეროპულოსი, კიასისი (ბასინასი 46)

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — დინამო. სტეფან ჰიუზი კახი კალაძესაც გასცდა და მთიულურიც დაუარა

მსაჯი წამზომს დასცქეროდა, ბურთი სერგეი სებროვმა რომ მიიღო და „უემბლიზე“ შეკრებილ ლონდონურ ფანობას სიხარული არ აცალა.

შარშანდელ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ფურორის მომხდენი კიეველები წლეულს გაცილებით უარესად გამოიყურებიან, ისინი ამ ტურნირის ფინალურ ეტაპზეც ძლივს მოხვდნენ და აქაც ღირებულს ვერაფერს გვთავაზობენ. თუმცა არც ინგლისის ჩემპიონი გამოიყურება ძველებურად — პრემიერლიგაშიც უჭირს და ლიგაშიც ვერ დაიკვეხნის კარგი თამაშით.

მოკლედ, გასული სეზონის ერთგვარი ტრიუმფატორები ამჟამად ფორმაში ვერ არიან, რაც ოთხშაბათის მატჩმაც დაადასტურა. შეხვედრა ცუდი სანახავი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ვერც იმას იტყვის კაცი, ეს რა ვნახეო.

ანგარიში 74-ე წუთზე გასული სეზონის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელმა დენის ბერხკამმა თავურით გახსნა და თითქოს „არსენალს“ ამ ანგარიშის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდა, თანაც საკუთარ მოედანზე, მაგრამ... მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, უკვე იცით — „დინამომ“ „უემბლიდან“ უკრაინაში ქულა წაიღო.

— საშინლად იმედგაცრუებული ვარ, გოლი არაფრის დიდებით არ უნდა გაგვეშვა, გამარჯვებასთან სულ ერთი ნაბიჯიღა გვაშორებდა. მაგრამ რას იზამ, ფეხბურთი ასეთი უცნაური თამაშია, რა მოხდება 30 წამის შემდეგ, არავინ იცის — ინგლისელთა ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი დაკარგულ ორ ქულას მისტიროდა.

რაც შეეხება კიეველთა ფეხბურთში გამობრძმედილ დამრიგებელ ვალერი ლობანოვსკის, მან ტრადიციულად კომენტარისგან თავი შეიკავა.

ლანსში, საფრანგეთის ჩემპიონის მთავარმა მწვრთნელმა დანიელ ლეკლერკმა მშვენიერი საფეხბურთო ინტუიცია გამოავლინა, მეორე ტაიმში დალმატის ნაცვლად მოედანზე ელუა შეუშვა და ამ უკანასკნელმაც გაამართლა, შეხვედრის მიწურულს ბერძნებს გოლი გაუტანა და თავისიანებს მეტად საჭირო სამი ქულა მოუტანა.

— უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ეტყობა, ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის უცხო ხილი არ გამოდგა, მეტად სწრაფად გავშინაურდით და აი, შედეგიც სახეზეა. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ „ლანსი“ თავის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ფურცელს წერს — აღფრთოვანებას ვერ მალავდა ლეკლერკი — ელუას რაც შეეხება, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გოლს გაიტანდა და ძალიან მიხარია, ეს რომ სწორედ ასე მოხდა — ეს სიტყვებიც ლიგის დებიუტანტთა მწვრთნელს ეკუთვნის.

		1	2	3	4	ბ	ქ
1	არსენალი	⊕	25.11	2:1	1:1	4:3	5
2	ლანსი	1:1	⊕	1:0	09.12	3:2	5
3	პანათინაიკოსი	09.12	04.11	⊕	2:1	3:4	3
4	დინამო	04.11	25.11	1:1	⊕	3:4	2

F ჯგუფი

ჰიკ 2:0 ბენფიკა

1:0 ლეკოსუა (19 პ), 2:0 კოტილა (68)

ჰიკ: ვიანდერი, ტიპინენი, საასტამოინენი, ნილანდი, კანერვა, ვასარა (რიიპილაპტი 30), ილოლა, ლეკოსუო, პირაკაია, კუკი (ანტონიო 63), კოტილა (კოპტეფი 79)

ბენფიკა: პრიუდომი, ეოზე სოუზა, მადეირა, გიარა, ტომასი, ბემბრეჯი, ნუნუ გომეში (პობორეტსკი 60), პრინგლი (მორეირეა 76), მინტო, კანდაუროვი (კალადუ 83), ლეალი

ეინდჰოვენი 1:2 კაიზერსლაუტერნი

0:1 რიდლი (63), 1:1 ხოხლოვი (78), 1:2 რიშე (83)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ნიკიფოროვი (ბრუგინკი 73), ვან ნისტელროი, ნილისი, კოლკა (დე ბილდე 73), ვან დერ ვეერდენი, ხოხლოვი, ლუსიუსი, რომედალი, შეერლა, ვან დერ დულენი (ივანი 90)

კაიზერსლაუტერნი: რაინე, ბალაკი (რიდლი 60), როოსი, სამირი, რამზი, ხრისტოვი, სფორცა, მარკო რაინი, ოჯიგვე, როსლერი (რიშე 75), კოხი

— საერთოდ, ბევრი ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ დღეს ამის საბაბი ნამდვილად მაქვს. ასეთი დიდი სიამოვნება ჯერ არასდროს მიმიღია. ეს დღე ფინური ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით შევა — ჰიკის თავკაცი ანტი მუურინენი სიხარულისგან მეცხრე ცაზე იმყოფებოდა. ჰქონდა კიდეც ამის საბაბი — ყველასთვის გასაკვირად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილმა მისმა შეგირდებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს და ახლა ჯგუფში, სადაც გერმანიის ჩემპიონი, „ეინდჰოვენი“ და „ბენფიკა“ შეკრებილან, მეორე ადგილზე იმყოფებიან.

ანგარიში მე-19 წუთზე გაიხსნა, როდესაც მასპინძელთა ფორვარდი მიკა კოტილა პორტუგალიელმა მცველებმა საკუთარ საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერეს და ლეკოსუამ თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა. მეორედ ფინელი ფეხბურთელები და სტადიონზე შეკრებილი 25 ათასი გულშემატკივარი უკვე თავად კოტილამ გაახარა, მეორე ტაიმის შუაწელში.

„ბენფიკამ“ კი, რომელიც ჩემპიონთა თასს ორჯერ, 1961, 62 წლებში ფლობდა, დასამახსოვრებელი ვერაფერი შექმნა, რამაც მისი შოტლანდიელი თავკაცის გრემ სუნესის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

— ჩვენ ორი სულელური გოლი გავუშვით, თუმცა ამით ფინელთა გამარჯვებას ნამდვილად არ ვაკნინებ, ყველაფერი ჩვენი ბრალია, დღეს საზიზღრად ვითამაშეთ — აღნიშნა მატჩის შემდეგ სუნესმა, ვისი თავკაცობითაც 1984 წელს „ლივერპული“ ჩემპიონთა თასს დაესაკუთრა.

ჰოლანდიური „ეინდჰოვენი“ ძირითადი ფეხბურთელების სხვა გუნდებში წასვლის და სათავეში ინგლისელი ბობი რობსონის მისვლის შემდეგ თავის თავს აღარ ჰგავს — ქვეყნის ჩემპიონატში ცხრილის შუაგულში მოკალათებულ გუნდს ჩემპიონთა ლიგაშიც საშინლად აქვს საქმე. გერმანიის ჩემპიონთან შეხვედრაში ჰოლანდიელები წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ, მაგრამ არც გამარჯვების ღირსნი იყვნენ. ფრე ამ მატჩის ყველაზე ლოგიკური შედეგი იქნებოდა. ეს გუშინ თავის სატელევიზიო გამოსვლაში მასპინძელთა ბელგიელმა ნახევარმცველმა ლუკ ნილისმაც აღნიშნა.

— წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით, მაგრამ ამაზე საუბარი უკვე ძალიან გვიანია. შემდეგ ეტაპზე გასვლაზე აღარც კი უნდა ვიოცნებოთ. „ეინდჰოვენისთვის“ ჩემპიონთა ლიგა დასრულდა!

REUTERS ეინდჰოვენიდან

ეინდჰოვენი — კაიზერსლაუტერნი. ვატერეუსმა ხრისტოვს აჯობა, ჰოლანდიელებმა გერმანელებს — ვერა

		1	2	3	4	ბ	ქ
1	ლაუტერნი	⊕	09.12	1:0	04.11	3:1	7
2	ჰიკ	0:0	⊕	25.11	2:0	3:2	4
3	ეინდჰოვენი	1:2	2:1	⊕	09.12	4:5	3
4	ბენფიკა	25.11	04.11	2:1	⊕	2:4	3

ფეხბურთის რუკასთან

აშშ-ს ნაკრების ნახევარმცველმა კლაუდიო რეინამ განაცხადა, აღრე „ვოლფსბურგის“ დატოვება რომ მეწადა, ახლა კლუბიდან წასვლა აღარ მსურს, წლევანდელ სეზონს აქ გავატარებო. „რამდენიმე ხნის წინ, იყო გარკვეული პრობლემები, მაგრამ უკვე ჩაიარა. გადავწყვიტე, დავრჩე და გუნდს დავეხმარო“ — განაცხადა ამერიკელმა. ერთი კვირის წინ რეინა გაიძახოდა, „ვოლფსბურგში“ თავს ცუდად ვგრძნობ, მირჩევნია აქაურობას გავშორდეო. მას შემდეგ იგი კლუბის მენეჯერ პიტერ პანდერს და მწვრთნელ ვოლფგან ვოლეს შეხვდა. რამდენიმე საათიანმა საუბარმა კი ფეხბურთელზე, როგორც ჩანს, დადებითი გავლენა მოახდინა. უკვე გადაწყვეტილია, რომ კლაუდიო რეინა წლევანდელი სეზონის ბოლომდე „ვოლფსბურგის“ ღირსებას დაიცავს. აი, მერე სად წავა, ეს უკვე უცნობია. შეგახსენებთ, რომ ამერიკელი გამთამაშებელი „ვოლფსბურგში“ შარშან ზაფხულში, ივნისში, გადაბარგდა ლევერკუზენის „ბაიერიდან“.

იტალიელი პაოლო დი კანიო, რომელიც მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მეცარად დასაჯა, პარასკევს შეფილდში განაჩენს გაასაჩივრებს. ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა დი კანიოს აპელაციისთვის ორი კვირა მისცა. იტალიელმა ლეგიონერმაც არც აცია, არც აცხელა და განაჩენის გადასინჯვა მოითხოვა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის სასჯელის გარდა დი კანიო საკუთარმა კლუბმა „შეფილდ უენსდეიმაც“ დასაჯა. აპელაციას ინგლისის ფეხბურთის მამები დღეს განიხილავენ შეფილდში, თუმცა საეჭვოა (აცმა რომ თქვას, გამორიცხულიც კია), ძველ განაჩენი შეცვალონ. ინფორმაციისთვის — დი კანიო მკაცრად იმიტომ დაისაჯა, რომ 26 სექტემბერს შინ, შეფილდში, „არსენალთან“ თამაშისას ჯერ სტუმართა ერთ-ერთ ფეხბურთელს ეუხეშა, მეორე მსაჯ პოლ ალკოკს ხელი უბიძგა და უშვერი სიტყვებით ლახლა.

საფრანგეთის ჩემპიონატის გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონი „მეცი“ ახლა მეტად ცუდ დღეშია — გუნდი, რომელიც გაზაფხულზე პირველობისთვის იბრძოდა, გათამაშების აუტსაიდერია. ამასთანავე ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ მოხვდა და უეფას თასის გათამაშებასაც პირველი წრიდანვე გამოეთიშა. მეცელები შექმნილ მდგომარეობას ძალიან დაუფიქრებია და იტალიელი თავდამსხმელის მიქელე პადოვანოს შეძენა გადაწყვეტიათ. ექსიუვენტუსელმა ფორვარდმა განაცხადა, „მეცში“ თამაშის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ახლა ტრავმა მაწუხებსო. პადოვანო საფრანგეთშიც იყო და სტრასბურში მუხლის ტრავმას მკურნალობდა. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსიდან“ წასვლის შემდეგ მიქელე პადოვანო ლონდონის „კრისტალ პალასის“ ღირსებას იცავდა. ჯერჯერობით პადოვანოს ტრანსფერი ბოლომდე არ გადაწყვეტილა, რადგან მისი და ლონდონური კლუბის ურთიერთობის ყველა დეტალი არაა გარკვეული, თუმცა „მეცის“ ხელმძღვანელთა სურვილი, შეიძინონ პადოვანო, მეტად დიდია. „ახლა ძალიან გვჭირდება თავდამსხმელი. პადოვანოს გარდა კიდევ რამდენიმე მოთამაშე შევიგულეთ, რომელთაც, ალბათ, გადავიბირებთ“ — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა, კარლო მოდინერიმ. რამდენის გადახდა მოუწევთ ფრანგებს პადოვანოს სანაცვლოდ, უცნობია.

ნორვეგიის უძლიერესი კლუბის ტრონჰეიმის „როსენბორგის“ მწვრთნელი ტრონდ სოლიდი მომავალ სეზონში ბელგიაში გადავა სამუშაოდ, სადაც „გენტს“ გაწვრთნის. რამდენიმე დღის წინ „როსენბორგმა“ ზედიზედ მეშვიდედ მოიგო ნორვეგიის ჩემპიონატი, ტრიუმფატორმა თავკაცმა კი ორაზროვნად განაცხადა, შინაურ ასპარეზზე გამარჯვებებმა ერთობ გადამღალა, ძალიან მინდა ბედი სხვაგან ვცადოო. მაშინ სოლიდს არ დაუკონკრეტებია, სად მიდიოდა, თუმცა ახლა ნორვეგიის ტელევიზიამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა — მისი შემდეგი კლუბი „გენტი“ იქნება.

ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის ჯონათან კოუზის განცხადებით, მათ დაუკავშირდა უეფა და სთხოვა, იუგოსლავიელებთან ამას წინათ არ გამართული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შესაძლო თარიღად 8 ნოემბერი განეხილა. წინა კვირას ირლანდიას ბელგრადში უნდა ეთამაშა მასპინძლებთან, მაგრამ რადგან ნატო იუგოსლავიას საჰაერო დარტყმებით დაეშუქრა, უეფამ გართულების დავიდან ასაცილებლად ბელგრადული შეხვედრა გაუქმა. ახლა ჯერ კიდევ არაა დადგენილი, სად ან როდის გაიმართება დროებით გადადებული შეხვედრა, თუმცა ის კი ცნობილია, რომ მატჩი აუცილებლად წლეულს უნდა შედგეს. ასევე ცნობილია ისიც, რომ იუგოსლავია მასპინძლის რანგში პირობითად იქნება — მატჩი აუცილებლად იუგოსლავიის საზღვრებს გარეთ, სხვა რომელიმე ქვეყანაში უნდა გაიმართოს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, ზამთარში ჩვეულებრივი თეთრი ბურთის ნაცვლად ყვითელი ტყავის ბურთებს გამოიყენებენ, რაც ფეხბურთელებს, მაყურებლებს და ჟურნალისტებს თამაშის ხილვას გაუადვილებს. ინგლისის პირველი, მეორე და მესამე დივიზიონების წარმომადგენელმა კრის ჰოლმა განაცხადა, მომავალი ბრწყინვალეა, მომავალი ყვითელიაო. ამით ახალი ფერის ბურთის დანერგვა იგულისხმა. იმავე ჰალის განცხადებით, ყვითელი ბურთი უკვე გამოაცხადეს ქვეყნის პირველობის პირველი დივიზიონის კლუბებმა „კრისტალ პალასმა“ და „სვინდონმა“. ასევე მეორე დივიზიონის გუნდმა „ლუტონმა“ ყვითელი ბურთის ოფიციალური წარდგენა და თამაშში გამოყენება ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში პირველად წლეულს, 20 ნოემბერს მოხდება მესამე დივიზიონის ერთ-ერთი ტურის მატჩში, „მენსფილდის“ და „ბარნეტის“ შეხვედრისას.

ჰოლანდიაში შეიძლება ახალი სკანდალი მოხდეს — ქვეყნის საგადასახადო ინსპექციამ როტერდამის „ფეიენოორდს“ ფინანსური დარღვევები აღმოუჩინა და ეჭვი აიღო, რომ კლუბი მაქინაციაშია გახვეული. საქმე ეხება 1990 წლის რამდენიმე თვეს, რომელშიც დიდი ფინანსური უზუსტობებია შემჩნეული. საგადასახადო ინსპექციის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, გამოიძებნა საეჭვოდ რამდენიმე თვეს გასტანს და თუ რაიმე საეჭვო აღმოჩნდა, არაა გამორიცხული „ფეიენოორდი“ ჯერ სასამართლოს წინაშე წარსდგეს, მერე კი სულაც დაბალ ლიგაში დაექვეითონ. ეჭვი იმიტომ გაჩნდა, რომ ამ ათწლეულის დასაწყისში რამდენიმე ლეგიონერის ჯამაგირი სხვადასხვა დოკუმენტში ერთმანეთს არ ემთხვევა.

ბელგიის „ანდერლეხტმა“ შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს“ შეუთვალა, თუ მარკო ნეგრის ვერ იყენებთ, ჩვენ დაგვითმეთო. შეგახსენებთ, რომ იტალიელმა თავდამსხმელმა გასულ სეზონში სკოთთა პირველობაზე 36 გოლი გაიტანა და ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც „პერუჯადან“ 6,4 მილიონ დოლარად გადაბარგდა შოტლანდიაში. გლაზგოელები იმედოვნებდნენ, რომ ნეგრი კვლავაც გაახარებდათ მათ გოლებით, მაგრამ აღნინელმა კლუბზე გული აიყარა. „ჩვენ გვყავს 10 თავდამსხმელი, მაგრამ გვჭირდება მეგოლე. ასეთად სწორედ ნეგრი გვესახება“ — განაცხადა ბრიუსელეთა გენერალურმა მენეჯერმა რობერტ დეკომ.

შოტლანდიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის „გლაზგო რეინჯერსის“ თავმჯდომარემ, დევიდ მიურეიმ განაცხადა, რომ კლუბის ახალგაზრდა იტალიელი ლეგიონერი რინო გატუზო სამშობლოში ბრუნდება. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, რომელიც გლაზგოში პერუჯადან მოხვდა, კლუბიდან წასვლა უთამაშებლობის გამო გადაწყვიტა. სერია A-ს დებიუტანტი „სალერნიტანა“ მის სანაცვლოდ 5,1 მილიონ დოლარს იხდის. 20 წლის გატუზომ ამასწინათ უეფას თასზე გოლიც გაუტანა იერუსალიმის „ბეითარს“, მაგრამ კლუბის ჰოლანდიელი მწვრთნელის, დიკ ადვოკაატის გული ვერ იქნა და ვერ მოიგო. იმავე მიურეის განცხადებით, კლუბს ტოვებს გერმანელი იორგ ალბერტიც, რომელსაც ექსფეიენოორდელ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტთან ურთიერთობა ძალიან დაძაბვია. თავის დროზე — „ჰამბურგიდან“ „რეინჯერსში“ გადაბარგებულმა ალბერტმა შოტლანდიელებთან განშორება თავად გადაწყვიტა.

სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია “CROCO”

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მე-9 ტური

23 ოქტომბერი

ჰამბურგი — ვერდერი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,1	2,4
ფრაიბურგი — დორტმუნდი	2,2	2,9	3,0

24 ოქტომბერი

ბოხუმი — მიონხენგლადბახი	1,7	3,0	4,7
ნიურნბერგი — შტუტგარტი	2,4	2,8	2,7
ვოლფსბურგი — აინტრახტი	1,8	2,9	4,2
ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,1	2,4
ჰანზა — შალკე	2,0	2,9	3,4

25 ოქტომბერი

ლევერკუზენი — მიუნხენ 1860	1,8	2,9	4,2
დუისბურგი — ჰერტა	2,2	2,9	3,0

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მე-11 ტური

23 ოქტომბერი

ფორტუნა — ჰანოვერი	1,9	2,9	3,6
კოტბუსი — მაინცი	1,9	2,9	3,6
კიკერსი — არმინია	2,9	2,8	2,3

25 ოქტომბერი

ობერჰაუზენი — ულმი	4,0	3,3	1,7
ბერლინი — კარლსრუე	2,3	2,8	2,9
გოუტერსლო — ზანქტ პაული	2,0	2,9	3,4
ფიურტი — ვატენშაიდი	1,6	3,0	5,6
ურდინგენი — კიოლნი	2,6	2,9	2,4
დიუსელდორფი — უნტერჰახინგი	2,6	2,8	2,5

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მე-10 ტური

24 ოქტომბერი

ასტონ ვილა — ლესტერი	1,5	3,2	6,5
ჩარლტონი — ვესტ ჰემი	2,5	2,9	2,5
დერბი — მანჩესტერი	3,2	2,9	2,1
ლივერპული — ნოტინგემი	1,25	4,2	9,0
0:1	1,9	3,0	2,8
შეფილდ უენსდეი — ევერტონი	2,0	2,9	3,4
საუთჰემპტონი — ქოვენთრი	1,9	2,9	3,6
ტოტენჰემი — ნიუკასლი	2,1	2,9	3,2
უიმბლდონი — მიდლსბრო	2,0	2,9	3,4

25 ოქტომბერი

ბლეკბერნი — არსენალი	2,6	2,9	2,4
ლიდსი — ჩელსი	2,5	2,9	2,5

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მე-16 ტური

23 ოქტომბერი

ბრისტოლი — ბოლტონი	3,0	2,9	2,2

24 ოქტომბერი

ბარნსლი — პორტსმუთი	1,9	2,9	3,6
ბრედფორდი — კრისტალ პალასი	2,4	2,9	2,6
ჭრიუ — ტრანმერი	2,1	2,9	3,2
ნორვიჩი — ჰადერსფილდი	2,2	2,9	3,0
ოქსფორდი — შეფილდ იუნაიტედი	2,4	2,9	2,6
სტოკპორტი — იფსვიჩი	2,4	2,9	2,6
სანდერლენდი — ბერი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,1	2,4
სვინდონი — ვესტ ბრომვიჩი	2,2	2,9	3,0
უოტფორდი — პორტ ვეილი	1,7	3,0	4,7
ვულვერჰემპტონი — გრიმსბი	1,7	3,0	4,7

25 ოქტომბერი

ქუინზ პარკი — ბირმინგემი	2,5	2,9	2,5

საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-10 ტური

24 ოქტომბერი

ლე ავრი — ტულუზი	1,9	2,8	3,8
რენი — ლორიანი	1,5	2,9	8,0
მარსელი — სოშო	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
ბასტია — სტრასბური	1,7	2,9	5,0
ნანტი — პარი სენ ჟერმენი	2,1	2,9	3,2
ოსერი — ლიონი	2,3	2,8	2,9
მეცი — მონაკო	2,5	2,9	2,5

25 ოქტომბერი

მონპელიე — ლანსი	1,9	2,8	3,8
ბორდო — ნანსი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. მე-6 ტური

25 ოქტომბერი

ბოლონია — პიაჩენცა	1,7	2,8	5,3
კალიარი — ბარი	1,7	2,9	5,0
ფიორენტინა — სალერნიტანა	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
იუვენტუსი — ინტერი	1,9	2,8	3,8
ლაციო — ვიჩენცა	1,25	4,0	9,0
0:1	1,9	3,0	2,8
მილანი — რომა	1,9	2,8	3,8
პერუჯა — პარმა	2,6	2,9	2,4
სამპდორია — ემპოლი	1,6	2,9	6,0
უდინეზე — ვენეცია	1,4	3,4	7,5
0:1	2,1	2,8	2,3

ესპანეთის ჩემპიონატი. მე-7 ტური

24 ოქტომბერი

სელტა — სარაგოსა	1,9	2,8	3,8

25 ოქტომბერი

მალიორკა — ატლეტიკო	1,9	2,9	3,6
ტენერიფე — დეპორტივო	2,1	2,9	3,2
ოვიედო — ვალიადოლიდი	1,7	2,9	5,0
სოსიედადი — ვალიადოლიდი	1,7	2,9	5,0
ესპანოლი — ბარსელონა	4,2	2,9	1,8
სალამანკა — ბილბაო	2,4	2,8	2,7
ვალენსია — ბეტისი	1,7	2,9	5,0
რეალი — რასინგი	1,25	4,2	9,0
0:1	1,9	3,0	2,8
ალავესი — ესტრემადურა	1,5	3,4	5,6

ეპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. მე-9 ტური

ლეგანესი — ბადახოსი	2,1	2,9	3,2
მერიდა — ოსასუნა	2,3	2,8	2,9
რეკრეატივო — ერკულესი	2,0	2,8	3,5
ორენსე — ბარსელონა B	1,6	3,0	5,6
სევილია — ალბასეტე	1,35	3,6	7,5
0:1	2,0	3,1	2,4
კომპოსტელა — ოვიედო	1,9	2,8	3,8
ნუმანსია — ეიბარი	1,25	4,2	9,0
0:1	1,9	3,0	2,8
ლეიდა — სპორტინგი	1,25	4,2	9,0
0:1	1,9	3,0	2,8
ლოგრონიესი — ლას პალმასი	3,2	2,9	2,1
რაიო ვალეკანო — მალიორკა B	1,9	2,9	3,6
მალაგა — ატლეტიკო B	1,5	3,2	6,5

პორტუგალიის ჩემპიონატი. მე-8 ტური

24 ოქტომბერი

ფარენსე — სპორტინგი	4,4	3,1	1,7

25 ოქტომბერი

რიუ ავე — კამპომაიორენსე	1,9	2,9	3,6
ბეირა მარი — ამადორა	2,4	2,9	2,6
მარიტიმუ — აკადემიკა	1,9	2,9	3,6
ბოავიშტა — ბენფიკა	2,5	2,9	2,5
გიმარაეში — შავეში	2,2	2,9	3,0
ალვერკა — სეტუბალი	2,1	2,9	3,2

26 ოქტომბერი

სალგეირუში — ბრაგა	1,7	3,1	4,4
ლეირია — პორტუ	3,0	2,9	2,2

რუსეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური

25 ოქტომბერი

ცსკა — როტორი	1,6	3,0	5,6
სპარტაკი — შინაკი	1,3	3,0	10,0
ტიუმენი — ჩერნომორეცი	8,0	4,0	1,2
ბალტიკა — ზენიტი	1,8	2,9	2,9
კრილია სოვეტოვი — ლოკომოტივი	2,3	2,8	2,4
ურალანი — დინამო	1,8	2,8	3,8
ალანია — ჟემჩუჟინა	1,4	3,5	7,0
ტორპედო — როსტსელმაში	1,6	3,1	4,2

პოლანდიის ჩემპიონატი. მე-10 ტური

23 ოქტომბერი

როდა — სიტარდი	1,7	3,0	4,7
ნაიმეგენი — ალკმაარი	1,8	2,9	4,2

24 ოქტომბერი

მაასტრიხტი — ვალვაიკი	1,6	3,2	5,0
ტვენტე — გრაადფსხაპი	1,4	3,4	7,5
0:1	2,0	3,2	2,3
ბრედა — ვიტესი	3,4	2,9	2,0

25 ოქტომბერი

აიაქსი — კამბური	1,1	6,0	12,0
0:1	1,3	5,0	4,0
ტილბურგი — ეინდჰოვენი	2,4	2,9	2,6
უტრეხტი — ფეიენოორდი	4,4	3,1	1,7
სპარტა — ჰერენვენი	2,8	2,9	2,3

ბელგიის ჩემპიონატი. მე-11 ტური

23 ოქტომბერი

ლოკერენი — ანდერლეხტი	1,5	3,3	6,0

24 ოქტომბერი

ოსტენდე — სენტ ტრუიდენი	3,2	2,9	2,1
სტანდარდი — ეკერენი	1,6	3,0	5,6
გენტი — ბრიუგე	3,0	2,9	2,2
გენკი — ვესტერლო	1,6	3,0	5,6
შარლეროუ — ბევერენი	1,8	2,9	4,2
ლიერსი — ლოშელი	1,6	3,0	5,6

25 ოქტომბერი

კორტრაიკი — მუსკრონი	2,6	2,9	2,4
აალსტი — ჰარელბეკი	1,6	3,0	5,6

პოლონეთის ჩემპიონატი. მე-13 ტური

24-25 ოქტომბერი

რუხი — ვიძევი	1,9	2,9	3,6
ლკს — ვისლა	3,6	2,9	1,9
პოგონი — ლეგია	2,8	2,9	2,3
გურნიკი — ბელსატოვი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1
ოდრა — კატოვიცე	2,4	2,9	2,6
პოლონია — ამიცა	2,1	2,9	3,2
ზაგლებიე — რაძიონკოვი	1,9	2,9	3,6
სტომილი — ლეხი	2,8	2,9	2,3

თურქეთის ჩემპიონატი. მე-9 ტური

23 ოქტომბერი

ტრაბზონი — ადანა	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0

24 ოქტომბერი

ანთალია — ისთანბული	2,4	2,9	2,6
გალათასარაი — სამსუნი	1,15	5,6	10,0
0:1	1,45	3,8	3,5

25 ოქტომბერი

საქარია — გენჩლერბირლიგი	4,0	3,3	1,7
ალთაი — ბურსა	2,0	2,9	3,4
ანკარაგუჯუ — ერზურუმი	1,8	2,9	4,2
გაზიანთეფი — ქოჯაელი	1,8	2,9	4,2
დარდანელი — ქარაბუქი	1,9	2,9	3,6
ბეშიქთაში — ფენერბაჩე	2,4	2,9	2,6

შოტლანდიის ჩემპიონატი. მე-11 ტური

24 ოქტომბერი

სელტიკი — აბერდინი	1,25	4,2	9,0
0:1	1,9	3,0	2,8
დანდი — დანფერმლაინი	1,9	2,9	3,6
ჰარტსი — დანდი იუნაიტედი	1,5	3,4	5,6
კილმარნოკი — სენტ ჯონსტონი	1,7	2,9	5,0

ავსტრიის ჩემპიონატი. მე-13 ტური

23 ოქტომბერი

გრაცერი — ლინცერი	1,6	3,0	5,6

24 ოქტომბერი

ლუშტენაუ — შტურმი	5,3	3,1	1,6
რაპიდი — შტაირი	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0

25 ოქტომბერი

რიდი — აუსტრია	3,0	2,9	2,2
ზალცბურგი — ტიროლი	1,9	2,8	3,8

შვეიცარია. მე-15 ტური

24 ოქტომბერი

ქსამაქსი — ციურიხი	1,9	2,9	3,8
ბაზელი — სერვეტი	3,2	2,9	2,1

25 ოქტომბერი

იანგ ბოიზი — ლუცერნი	1,8	3,0	4,0
ლოზანა — ლუგანო	1,6	3,0	5,6
გრასჰოპერი — სიონი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,3	2,5
სენტ გალენი — არაუ	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

481. **როლანდ ყიფიანი.** თბილისი. ბიზნესმენი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე

482. **თემურ ბელენიძე.** თბილისი. ექიმი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვლადიმერ ბარქაია, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

483. **ლეილა ბეჟიტაშვილი.** თბილისი. ფილოლოგი. 61 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ვიტალი დარასელია, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, თემურ ქეცბაია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

484. **იური ჯოჯუა.** 54 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ ბარქაია, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

485. **გივი გოგავა.** აბაშა. გეოდეზისტი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

486. **გიორგი ნილოსანი.** თბილისი. ექიმი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

487. **გოგი ბატიაშვილი.** თბილისი. ექიმი. 54 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

488. **პავლე მაჭავარიანი.** თბილისი. ექიმი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

489. **ალექსანდრე ლილაშვილი.** თბილისი. ექიმი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, კახი ასათიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

490. **კოტე ზარქუა.** თბილისი. ექიმი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 48 სლავა მეტრეველი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

491. **გიორგი ლალიძე.** თბილისი. ჟურნალისტი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. დავით ყიფიანი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. შოთა არველაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

492. **ნინი გორგოძე.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. შოთა არველაძე, 3. არჩილ არველაძე, 4. დავით მუჯირი, 5. თემურ ქეცბაია
გუნდი: ოთარ გაბელია, კახი ცხადაძე, მურთაზ შელია, ალექსანდრე ჩივაძე, კახი კალაძე, თემურ ქეცბაია, ვიტალი დარასელია, დავით მუჯირი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, შოთა არველაძე

493. **ირინა უქლება.** თბილისი. ექიმი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. რამაზ შენგელია, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, კახი ცხადაძე, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, შოთა არველაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

494. **დათო გორგოძე.** თბილისი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ვიტალი დარასელია, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. თემურ ქეცბაია
გუნდი: ოთარ გაბელია, კახი ცხადაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

495. **გიორგი გორგოძე.** თბილისი. ჟურნალისტი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, კახი ცხადაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

496. **დავით ნაცვლიშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 36 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

497. **აკაკი ნაცვლიშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

498. **ვლადიმერ ნერგაძე.** თბილისი. ეკონომისტი. 64 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

499. **დავით ნერგაძე.** თბილისი. მასწავლებელი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

500. **ვანო სიორდია.** თბილისი. სტუდენტი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. თენგიზ სულაქველიძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ნოდარ ხიზანიშვილი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, ვიტალი დარასელია, ვახტანგ კოპალეიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

501. **დავით გურგენიძე.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. თენგიზ სულაქველიძე, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ფირუზ კანთელაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

502. **გიორგი ქოიავა.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ვიტალი დარასელია, 5. თენგიზ სულაქველიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ნოდარ ხიზანიშვილი, ბორის პაიჭაძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია

503. **ალექსანდრე კაკაურიძე.** ზესტაფონი. მოსწავლე. 16 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. ვიტალი დარასელია, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ლევან კობიაშვილი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

504. **ნიკოლოზ სხირტლაძე.** თბილისი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

505. **ემზარ ჩირგაძე.** ქუთაისი. მშენებელი-ინჟინერი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

506. **გიორგი დოლაბერიძე.** წყალტუბო. ეკონომისტი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. რამაზ შენგელია, 4. დავით ყიფიანი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

507. **ლილი კოჭლამაზაშვილი.** თბილისი. ეკონომისტი. 59 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. შალვა კაკაბაძე, 3. ალექსანდრე კოტრიკაძე
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. ილია დათუნაშვილი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გრიშინი, მურთაზ ხურცილავა, ედუარდ თორაძე, დავით ბაქრაძე, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, ილია დათუნაშვილი, კოტე მელქაძე, მიხეილ მესხი

508. **დავით საფარიძე.** ხელვაჩაური. პედაგოგი. 44 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

509. **მანანა მიქაუტაძე.** ქუთაისი. ფარმაცევტი. 46 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. ანზორ კავაზაშვილი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

510. **ვასილ ჩხარტიშვილი.** ოზურგეთი. მოსამსახურე. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები

სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.

✂ -

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი

1 ____________
2 ____________
3 ____________
4 ____________
5 ____________

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი

1 ____________
2 ____________
3 ____________

საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები

1 ____________
2 ____________
3 ____________
4 ____________
5 ____________
6 ____________
7 ____________
8 ____________
9 ____________
10 ____________
11 ____________

სახელი ____________
გვარი ____________
ასაკი ____________
პროფესია ____________
მისამართი ____________

ბედი ძლიერის ამხანაგია

22 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
5 ტური

თსუ 91:99 ვითა

პირველი ტაიმი 39:42

თსუ: მგალობლიშვილი (23), ნოწელია (27), მარკოიშვილი (5), ცქიტიშვილი (27), ხელაშვილი (8); არსიაშვილი, მშვილდაძე (4), ვეფხვაძე, დიმიტრიადი (7)

ვითა: ტურაშვილი (17), აბრამიძე (22), დავითულიანი (18), კოკოლიშვილი (11), ახალკაცი (6); გაგნიძე (2), მუშკუდიანი (2), კორძაძე (3), ჩუბინიძე (18)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე

დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსგზის ჩემპიონთან დაპირისპირება, შარშანდელის დარად, ახლაც განსაკუთრებული ხიბლით გამოირჩა. გულშემატკივარიც ინტერესით მოელოდა გათამაშების ცხრილში მეორე საფეხურზე მოკალათებული სტუდენტებისა და პირველობის სტარტზე გუნებაწახდენილი ვითელების შეხვედრას. აკი მატჩიც სწორედ ისეთი გახლდათ, კალათბურთის ქომაგთ სიამოვნებას რომ ანიჭებს და, ცხადია, ამ გუნდებზეც მხოლოდ საქებარი ითქმის.

ორივე მხრიდან უშეღავათო ბრძოლა ვიხილეთ, სადაც მიზანმიმართულად მოთამაშე ეს გუნდები თითოეული ბურთისთვის ისეთი თავგამოდებით იბრძოდნენ, რომ აზარტში შესულ მაყურებელს ამ მატჩის მიმდინარეობა პლეოფური ციებ-ცხელების ბატალიებს მოაგონებდა.

კიდევ უფრო დავრწმუნდით, რომ „ვითა“ ქვეყნის ღირსეული ჩემპიონია და მასთან გამარჯვება ნებისმიერი გუნდისთვის დიდ პატივად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ ტომარაძის საათივით აწყობილი „მანქანა“ თავის სიძლიერეს ღღითიდღე ამტიცებს და განსაკუთრებული მობილიზებაც შეუძლია. გადამწყვეტ მომენტებში მათი აუღელვებელი მოქმედება მოწინააღმდეგეთათვის ლამის გადაულახავ ბარიერად იქცა და მუდამ მშვიდად მობურთალი „ვითას“ ფსიქოლოგიური ზეწოლა მეტოქეთათვის ჯერაც გაუსაძლისია.

ბევრს ეცადნენ სტუდენტები მიზნის მისაღწევად, ერთ ხანს თითქოს ახლოსაც იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არისო, თქმულა. ამჯერადაც უფრო ძლიერებს გაუღიმათ ბედმა. საკუთრივ თამაში კი, თავშიც მოგახსენეთ, კარგი იყო და ახლა იმაზე მოგითხრობთ, რამაც ეს გვათქმევინა.

თავდაპირველად „ვითა“ დაწინაურდა, რაც ნაწილობრივ თსუ-ს უხეშობამაც გამოიწვა და საწყისი ქულები ჩემპიონებმა დავითულიანის და კოკოლიშვილის ზუსტი პერსონალურებით მიითვალეს. ამან სტუდენტები შედარებით გამოაფხიზლა და წოწელიას ორ გარღვევას მგალობლიშვილმაც რომ კუთვნილი 2 ქულა წაამატა, ანგარიში გათანაბრდა 6:6. ჩემპიონებმა ბურთის ხანგრძლივი გათამაშება იწყეს, სწრაფი პასებით შეეცადნენ მეტოქის ზონის დარღვევას და აბრამიძის მეცადინეობით პატარა მონაკვეთი 6:0 მოიგეს. ქორქიამ წუთშესვენება ითხოვა და მოედანზე ვეფხვაძე შემოუშვა, რომელიც გამთამაშებლის პოზიციაზე დაფუძნდა და ამით მგალობლიშვილს შეტევაში ფრთები გაუხსნა. თუმცა ვითელების ზემოთნახსენები დუეტი, აბრამიძე-დავითულიანი, უწინდებურად ავიწროებდა მეტოქეს და როცა ტურაშვილმაც ხელი გამოიღო, თსუ „ვითას“ 8 ქულით ჩამორჩა. სტუდენტები მიხვდნენ, რომ ზონური დაცვა აღარ გამოადგებოდათ და პერსონალურ მეურვეობაზე გადაეწყვნენ. ამან ნაყოფი გამოიღო და ზედიზედ რამდენიმე შეტევა ჩაჭრეს, რასაც მგალობლიშვილის აქტიურობაც დაერთო და მისი 3-იანის შემდეგ, როცა მოწინააღმდეგე 9:0-ზე დატოვეს, უკვე თსუ იგებდა 19:18.

ამის შემდეგ თანაბარი თამაში გაჩაღდა. „ვითადან“ კოკოლიშვილი გააქტიურდა, თსუ-დან — კარგად ჩართული დიმიტრიადი. უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი გუნდი ახერხებდა და ტაიმიც ასე დამთავრდებოდა, რომ არა ტურაშვილის გააზრებული მოქმედება, როდესაც ლამაზი კომბინაციის შემდეგ გადამწყვეტი სროლაც თავად ითავა და თავისიანები სამი ქულით დააწინაურა 42:39.

მეორე ნახევარიც ეფექტურად დაიწყო. დავითულიანის ლამაზად „ჩატენილს“ ცქიტიშვილმა ასევე ლამაზად უპასუხა. საერთოდაც ამის შემდეგ ნიკა მეტისმეტად გამოცოცხლდა და ზედიზედ 7 ქულა მიითვალა, რაც „ვითას“ წინ გასვლის საშუალებას არ აძლევდა, ხოლო როცა წოწელიამ ჩვეული სამიანიც გაისროლა, ახლა თსუ იგებდა 54:51. ტომარაძის წუთშესვენება დროული აღმოჩნდა. ჩემპიონი დინჯად ათამაშდა და დამუშავებული კომბინაციების კეთება იწყო, რასაც უმეტესწილად აბრამიძე აგვირგვინებდა და წარმატებითაც. მათ არც თსუ ჩამორჩა და დიმიტრიადი-ხელაშვილის მიერ შესრულებული ზედიზედ ორი შეტევის შემდეგ, როცა მატჩის დამთავრებამდე 7 წუთიღა რჩებოდა, ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 70:70.

–მეტად დროული აღმოჩნდა ტურაშვილის 3-იანი, რასაც დავითულიანმა 2 პერსონალურიც უმალ მიაყოლა. ამან თსუელთა რიგებში არეულობა გამოიწვია და ქორქიასაც სისტემატურად უწევდა მოთამაშეების გამოცვლა, რათა ოპტიმალური შემადგენლობისთვის მიეგნო. სამაგიეროდ, „ვითამ“ საკუთარი ძალები ირწმუნა და სწორედ აქ წარმოჩინდა მათი ის დადებითი თვისებები, რაც თავში მოგახსენეთ. ტურაშვილი-აბრამიძის ტანდემი შეთანხმებული მოქმედებითა და შესაშური სიმშვიდით განაგრძობდა შეტევების ორგანიზებას და ამან ძალაგამოცლილი სტუდენტები წელში გატეხა.

თსუ-მ ერთადერთხელღა გაიბრძოლა, როცა წუთახევრით ადრე ცქიტიშვილმა სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, მაგრამ შემდეგ დიდი შრომით მოპოვებული ბურთი ვეღარ შეიშნოვა და მეტოქეს საბოლოოდ დანებდა.

გიორგი ბიკაშვილი



ვითელი ზურაბ ჩუბინიძე და უნივერსიტეტელი ნიკა ცქიტიშვილი (15)



გუშინ თავისიანთაგან საუკეთესონი სწორედ ესენი, შევარდენელი აკოლაშვილი (12) და სტუ-ელი ოთიურიძე იყვნენ

სტუ ფრიადოსანია

22 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
5 ტური

შევარდენი 84:104 სტუ

პირველი ტაიმი 41:46

შევარდენი: გაგნიძე (13), კაზანჯიანი (10), აკოლაშვილი (23), მაჭავარიანი (6), ნუცუბიძე (23); ტაბატაძე (2), ცაგარეიშვილი (6), არსიაშვილი, ჩარგეიშვილი

სტუ: ტუღუში (4), მიქაძე (9), გ. ნაცვლიშვილი (13), ნოზაძე (3), ოთიურიძე (19); ჩავლეიშვილი (2), მოისწრაფიშვილი (7), სუხიშვილი (13), ჩერქეზიშვილი (13), ლოსაბერიძე (11), მინაშვილი (5), ცხვედიანი (5)

მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: მურმან ქურიძე

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ჩემპიონატი კარგად დაიწყო, ყველა შეხვედრა მოიგო და გათამაშების ცხრილშიც პირველ ადგილზეა. გუშინაც „შევარდენთან“ მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ შეხვედრა მაინც დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმსა და მეორის ნახევარზე უნდა ითქვას.

პირველი შეტევა სწორედ „შევარდენის“ კალათბურთელებმა წამოიწყეს, რასაც მიქაძის ჯარიმა მოჰყვა, ანგარიში კი მეორე წუთზე ნუცუბიძემ გახსნა. ამას ოთიურიძემ უმალ უპასუხა 2:2. ორივე გუნდს მხოლოდ მოგება სურდა და მატჩის დებიუტში მართლაც შეუპოვარი ბრძოლის მოწმენი შევიქენით. „შევარდენი“ ძირითადად სამქულიანი სროლებით გადიოდა ფონს, რამაც თავიდან შედეგი გამოიღო და მეხუთე წუთისთვის გუნდმა ხუთქულიან უპირატესობას მიაღწია. განსაკუთრებით თვალშისაცემი კაზანჯიანის კარგი თამაში იყო, მას აკოლაშვილმაც აუბა მხარი და მეექვსე წუთზე ამ უკანასკნელის სამქულიანით ანგარიში 13:7 გახდა.

სტუ ადვილი გამარჯვების მოლოდინში მოდუნებული ჩანდა და მწვრთნელებმა დაცვის გასაძლიერებლად მოედანზე გამოცდილი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი შემოიყვანეს, არცთუ ტყუილად — ტაიმის შუაგულში სტუ-მ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. ყველა სტუდენტების დაწინაურებასა და საქმის პირველივე ნახევარში მომთავრებას ელოდა, მაგრამ „შევარდენი“ მთელი მონდომებით ირჯებოდა და ერთხანს ლიდერობასაც ინარჩუნებდა.

პირველი ტაიმის მეთორმეტე წუთიდან თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. გამოიკვეთა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის გრძელი სკამის ფაქტორი. „შევარდენის“ კალათბურთელებს დაღლა დაეტყოთ, თუმცა მატჩის დათმობას სულაც არ აპირებდნენ.

მეთოთხმეტე წუთზე ჩერქეზიშვილის ლამაზი გარღვევა მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა. აპლოდისმენტები ჯერაც არ ჩამცხრალიყო, „შევარდენმა“ ეფექტური კომბინაცია რომ გაითამაშა: კაზანჯიანი — აკოლაშვილის საპასუხო შეტევა ნუცუბიძემ დაავგირგვინა. პირველი ნახევრის მეთექვსმეტე წუთზე ანგარიში თანაბარია 29:29. ტაიმის მიწურულს მოედანზე სტუ-ს ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი შალვა ცხვედიანი გამოჩნდა და უმალ დააწინაურა თავისი გუნდი — ორი ქულით წინ სტუ-ა. აქვე აკოლაშვილმა ზუსტად შეასრულა მორიგი სამქულიანი და ისევ „შევარდენი“ იგებს 32:31. პირველი ნახევრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე კი სტუდენტებმა წინ გასვლა მოახერხეს — ნაცვლიშვილმა მეტოქის ფარზე ბრძოლა მოიგო, ბურთიც ჩააგდო და საჯარიმოც. მართალია სტუ მთელი ტაიმის მანძილზე აგებდა, პირველი ნახევარი მაინც თავის სასარგებლოდ 46:41 დასრულა.

მიუხედავად სტუ-ს ხუთქულიანი უპირატესობისა, შეხვედრის მეორე ნახევარი დაძაბულად დაიწყო. „შევარდენის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ნამდვილი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე ანგარიში კვლავ გაათანაბრა 50:50. სტუელ ნოზაძეს სამი ჯარიმა ჰქონდა მიღებული, როცა გაგნიძესთან ფარქვეშ ოთხბრძოლისას მეოთხედ დაჯარიმდა, შემდეგ მსაჯს შეეპასუხა და მეხუთე, ტექნიკური შენიშვნაც დაიმსახურა. გაგნიძემ ყოველივე ამით ისარგებლა და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა. სიტუაცია დაიძაბა, ამ დროისათვის ნუცუბიძე ათამაშდა კარგად, როგორც მეტოქის, ასევე საკუთარ ფარზე, რაზეც მისი შედეგიანობაც (24 ქულა) მეტყველებს.

ერთ-ერთი შეტევისას „შევარდენმა“ ზედიზედ ოთხჯერ სცადა მეტოქის ფარის დალაშქვრა, მაგრამ ვერცერთხელ მოახერხა. მიუხედავად ამისა სტუ-ს თავკაცობამ შეგირდები შერისხა და ფარზე აქტიურობა მოსთხოვა.

მეორე ტაიმის მეთორმეტე წუთიდან კი სტუდენტებმა თავიანთი თამაში იპოვეს და „შევარდენს“ მთლიანად ჩამოართვეს უპირატესობა. ჩერქეზიშვილის, ცხვედიანის, ნაცვლიშვილის სწრაფმა შეტევებმა სტუ დააწინაურა და მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა. „შევარდენი“ მატჩის მიწურულს აშკარად გადაღალა და საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე 11-ქულით ჩამორჩა მეტოქეს. რამდენჯერმე ჩერქეზიშვილისა და მოისწრაფიშვილის ლამაზმა ჩაგდებამ მეორერიცხოვანი მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. კარგად ირჯებოდა გიგი ნაცვლიშვილიც, რომელმაც დროის მოკლე მონაკვეთში ორჯერ „ჩატენა“. ერთი სიტყვით, სტუდენტებმა მეორე ტაიმის მიწურულს საბოლოოდ დაჯაბნეს „შევარდენი“, რაც ანგარიშშიც აისახა. მატჩს კი წერტილი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა ზუსტი სამქულიანით დაუსვა.

ზურაბ გონაშვილი

ევროკალათბურთის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. 21-22 ოქტომბერი

A ჯგუფი

ადნიჩი (იუგოსლავია) — გალათასარაი (თურქეთი) 64:75

ალათასარაი	2	2	0	146:97	4
ადნიჩი	2	1	1	144:127	3
ინტერი	2	0	2	85:151	2

მომდევნო მატჩები. 28.10: ინტერი — ალათასარაი. 3.11: ინტერი — რადნიჩი

B ჯგუფი

ოლფინსი (შვედეთი) — კომფორტი (პოლონეთი) 90:75; სპარტაკი (სანკტ პეტერბურგი, რუსეთი) — ალიტა (ლიტვა) 72:75

ალიტა	3	3	0	252:219	6
ოლფინსი	3	2	1	285:257	5
პარტაკი	3	1	2	247:263	4
ომფორტი	3	0	3	215:260	3

IV ტური. 4.11: სპარტაკი — დოლფინსი, კომფორტი — ალიტა

C ჯგუფი

ნიკახა (ესპანეთი) — ძუკეტი (იტალია) 59:65; ოსტენდე (ბელგია) — ტატამი (გერმანია) 88:87

სტენდე	3	2	1	249:241	5
ატამი	3	2	1	238:217	5
უკეტი	3	1	2	209:220	4
ნიკახა	3	1	2	198:216	4

IV ტური. 3.11: ოსტენდე — უნიკახა. 4.11: ძუკეტი — ტატამი

D ჯგუფი

ანიონიოსი (საბერძნეთი) — ჟელეზნიკი (იუგოსლავია) 88:69; ფრიბურგი (შვეიცარია) — კერავნოსი (კვიპროსი) 79:53

ერავნოსი	3	2	1	210:211	5
ანიონიოსი	3	2	1	222:213	5
რიბურგი	2	1	1	147:122	3
ელეზნიკი	2	0	2	136:169	2

II ტური (გამოტოვებული მატჩი). 28.10: ჟელეზნიკი — ფრიბურგი

IV ტური. 4.11: ფრიბურგი — პანიონიოსი, ჟელეზნიკი — კერავნოსი

E ჯგუფი

ბიტომი (პოლონეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 70:74; პეპსი (იტალია) — ფალკო (უნგრეთი) 83:63

ეშიქთაში	3	3	0	227:213	6
ეპსი	3	2	1	222:205	5
იტომი	3	1	2	223:212	4
ალკო	3	0	3	205:247	3

IV ტური. 4.11: ბიტომი — პეპსი, ფალკო — ბეშიქთაში

F ჯგუფი

ონსი (ბელგია) — ფორუმი (ესპანეთი) 59:71; დიჟონი (საფრანგეთი) — ნოვა ჰუტი (ჩეხეთი) 86:75

ონსი	3	2	1	238:209	5
ორუმი	3	2	1	219:210	5
იჟონი	3	2	1	238:236	5
ოვა ჰუტი	3	0	3	212:252	3

IV ტური. 4.11: დიჟონი — მონსი, ნოვა ჰუტი — ფორუმი

G ჯგუფი

ამოლონი (საბერძნეთი) — ციტლიუკი (ბოსნია) 79:67; სპარტა (ჩეხეთი) — მაკაბი (ირონი, ისრაელი) 66:81

აკაბი	3	2	1	248:223	5
ამოლონი	3	2	1	247:229	5
იტლიუკი	3	2	1	226:213	5
პარტა	3	0	3	195:251	3

IV ტური. 4.11: მაკაბი — ციტლიუკი, ამოლონი — სპარტა

H ჯგუფი

აკაბი (რიშონ ლე ციონი, ისრაელი) — ლე მანი (საფრანგეთი) 88:75; ბამბერგი (გერმანია) — ბენფიკა (პორტუგალია) 70:59

აკაბი	3	3	0	255:224	6
ამბერგი	3	2	1	214:213	5
ე მანი	3	1	2	238:247	4
ენფიკა	3	0	3	224:247	3

IV ტური. 4.11: მაკაბი — ბენფიკა, ბამბერგი — ლე მანი

I ჯგუფი

ადეკო (ესპანეთი) — პორტუ (პორტუგალია) 98:77; ბეზანსონი (საფრანგეთი) — ატომიქსი (ბელგია) 86:61

ადეკო	3	3	0	247:217	6
პორტუ	3	2	1	248:226	5
ბეზანსონი	3	1	2	203:191	4
ატომიქსი	3	0	3	212:276	3

IV ტური. 4.11: ადეკო — ბეზანსონი, ატომიქსი — პორტუ

J ჯგუფი

დუკატო (იტალია) — ბენსტონი (ხორვატია) 95:63; ტუბორგი (თურქეთი) — ბორაცი (ბოსნია) 85:75

დუკატო	3	2	1	217:181	5
ბენსტონი	3	2	1	187:210	5
ტუბორგი	3	1	2	207:211	4
ბორაცი	3	1	2	186:195	4

IV ტური. 4.11: დუკატო — ტუბორგი, ბორაცი — ბენსტონი

K ჯგუფი

ტელეკომი (გერმანია) — პაპაგოსი (საბერძნეთი) 87:76; სლობოდა (ბოსნია) — ზრინიევაცი (ხორვატია) 64:61

პაპაგოსი	3	2	1	235:214	5
ტელეკომი	3	2	1	227:209	5
სლობოდა	3	2	1	177:199	5
ზრინიევაცი	3	0	3	208:225	3

IV ტური. 4.11: ტელეკომი — სლობოდა, ზრინიევაცი — პაპაგოსი

L ჯგუფი

ლოკომოტივი (რუსეთი) — შიაულიაი (ლიტვა) 96:87; შახტიორი (უკრაინა) — პოგონი (პოლონეთი) 68:72

შიაულიაი	3	2	1	290:259	5
პოგონი	3	2	1	245:240	5
ლოკომოტივი	3	2	1	273:275	5
შახტიორი	3	0	3	246:280	3

IV ტური. 4.11: შიაულიაი — პოგონი, შახტიორი — ლოკომოტივი

M ჯგუფი

ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) — კრკა (სლოვენია) 84:95; ლოვჩენი (იუგოსლავია) — აეროპორტი (იტალია) 63:71

აეროპორტი	3	3	0	238:197	6
კრკა	3	2	1	232:235	5
ჰაპოელი	3	1	2	240:250	4
ლოვჩენი	3	0	3	202:230	3

IV ტური. 4.11: კრკა — აეროპორტი. 5.11: ლოვჩენი — ჰაპოელი

N ჯგუფი

ოკაპი (ბელგია) — ბარსელონა (ესპანეთი) 82:98; ბაიერი (გერმანია) — პსჟ (საფრანგეთი) 58:83

ბარსელონა	3	3	0	260:203	6
პსჟ	3	2	1	212:199	5
ოკაპი	3	1	2	243:251	4
ბაიერი	3	0	3	203:265	3

IV ტური. 4.11: პსჟ — ბარსელონა, ოკაპი — ბაიერი

O ჯგუფი

ჰონკა (ფინეთი) — არსენალი (რუსეთი) 51:83; ნეპტუნასი (ლიტვა) — აზოვბასკეტი (უკრაინა) 120:88

არსენალი	3	3	0	247:175	6
ჰონკა	3	2	1	212:222	5
ნეპტუნასი	3	1	2	256:255	4
აზოვბასკეტი	3	0	3	215:278	3

IV ტური. 4.11: არსენალი — აზოვბასკეტი, ნეპტუნასი — ჰონკა

P ჯგუფი

დარუშაფაკა (თურქეთი) — ბეობანკა (იუგოსლავია) 75:74; სვიტი (სლოვაკეთი) — ირაკლიონი (საბერძნეთი) 78:84

ირაკლიონი	3	3	0	261:250	6
დარუშაფაკა	3	2	1	236:209	5
ბეობანკა	2	0	2	174:178	2
სვიტი	2	0	2	139:173	2

II ტური (გამოტოვებული მატჩი). 28.10: ბეობანკა — სვიტი

IV ტური. 4.11: ირაკლიონი — ბეობანკა, დარუშაფაკა — სვიტი

ლოს ანჯელესმა ჭირით იხეიმაჯა

21 ოქტომბერი

ფლორიდა — ლოს ანჯელესი 1:1

0:1 1:0 0:0 0:0

ზოგი ჭირი მარგებელიაო — სწორედ ლოსანჯელესელებზეა ნათქვამი. ორი ძირითადი მეკარის ტრავმის გამო ფარმკლუბიდან გამოძახებულმა მენი ლეგაჩემ საუცხოოდ ითამაშა და მასპინძლებს (ფლორიდამ, თავის მხრივ, 49 ჯერ დაარტყა), ფაქტობრივად, მარტო შეებრძოლა. მატჩის შემდეგ აღელვებულმა გოლკიპერმა განაცხადა, ეს საღამო დიდხანს დამამახსოვრდება, რადგან არ მეგონა, თუ ასეთ შტურმს გავუძლებდიო.

ტამპა — პიტსბურგი 5:0

დღის მთავარი სენსაცია! მეორე პერიოდში პიტსბურგი (14 დარტყმა) უტევდა, მასპინძლებს კი გაჰქონდათ და დარსი ტაკერის მეორე გოლის შემდეგ, როცა აწგარიში 4:0 გახდა, „პინგვინებმა“ შეწყვიტეს წინააღმდეგობა. „ელვებმა“ კი წლევანდელ 30 მარტის შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმეს.

დეტროიტი — ნეშვილი 5:2

ჩემპიონმა ოსტატობის ნამდვილი მაგალითი უჩვენა ლიგის დებიუტანტს. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ მაიკ დანჰემის კარს და სანამ ანგარიშში სხვაობა სოლიდური არ გახადეს, არ დამშვიდდნენ. დეტროიტელებმა დუგ ბრაუნმა და დერენ მაკარტიმ 2-2 შაიბა მიითვალეს, ხოლო ბრენდან შენჰანმა მე-6 გოლი გაიტანა და სნაიპერთა შორის ლიდერობა კიდევ უფრო განმტკიცა.

ვაშინგტონი — ვანკუვერი 1:2

სტუმრთა ახალბედა ბილ მუკალტი ზედიზედ მეორე მატჩში გამოირჩა, მისმა თანაგუნდელმა მეკარემ გარტ სნოუმ კი 34 დარტყმა მოიგერია.



REUTERS ტამპიდან

ვაშინგტონელი ბრაიან ბელოუზი ვანკუვერის მეკარე გარტ სნოუსა და მცველ ადრიან ოკუანის მარწუხებში

ანაჰაიმი — ბოსტონი 3:0

5-მატჩიანი არცთუ იღბლიანი მოგზაურობის შემდეგ ანაჰაიმი სეზონში პირველად წარდგა ქომაგების წინაშე და ყველაფერი იღონა, რათა თავი არ შეერცხვინა. დებიუტანტმა მცველმა მარკ კროულმა სამივე გოლში პასებით შეიტანა წვლილი, ხოლო პოლ კარიამ 2 (1+1) ქულა მიითვალა.

მონრეალი — ოტავა 3:2

საკონტრაქტო პრობლემები მოაგვარა თუ არა, მონრეალელმა ბრაიან სავაჟმა თავის პირველსავე მატჩში ახეირა თავისიანები და აქამდე ერთპიროვნულ ლიდერ ოტავასთან შეხვედრაში მართლაც გამოსარჩევი იყო.

აილენდერსი — ედმონტონი 2:4

ედმონტონი წლეულს სტუმრად გაცილებით უკეთ თამაშობს (4 მატჩში 3 მოგება) და ამჯერადაც გამოიჩინა თავი. ახალბედა ბოიდ დეევეროს ანგარიშზე 2 გოლია, დუგ უეიტი კი თავის საპლეიმეიკერო საქმეს შეუდგა და რიცხვმრავლობაში პეტ ფალუნი და ბილ გერინი ახეირა.

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ტორონტო	5	3	1	1	15:12	7
მონრეალი	6	3	1	2	17:11	7
ბოსტონი	7	3	1	3	14:11	7
ოტავა	4	3	0	1	13:8	6
ბუფალო	4	2	1	1	10:9	5
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
ფლორიდა	4	2	2	0	8:4	6
ვაშინგტონი	5	2	1	2	10:8	5
კაროლინა	5	1	3	1	12:11	5
ტამპა	6	1	1	4	13:19	3

წყნარი ოკეანე						
დალასი	5	3	1	1	15:9	7
ლოს ანჯელესი	5	2	2	1	12:12	6
ფინიქსი	3	2	0	1	9:7	4
ანაჰაიმი	5	2	0	3	9:9	4
სან ხოსე	4	0	1	3	7:14	1
ჩრდილო-დასავლეთი						
ვანკუვერი	5	3	0	2	12:11	6
ედმონტონი	6	3	0	3	17:13	6
კალგარი	5	1	1	3	12:18	3
კოლორადო	5	0	1	4	10:20	1

ატლანტა						
ფილადელფია	5	4	1	0	14:5	9
პიტსბურგი	4	2	1	1	10:12	5
აილენდერსი	5	2	0	3	8:11	4
რეინჯერსი	6	1	1	4	10:19	3
ნიუ ჯერსი	4	1	0	3	6:10	2
ცენტრი						
დეტროიტი	5	4	0	1	15:7	8
ჩიკაგო	5	3	0	2	12:13	6
სენტ ლუისი	4	1	1	2	8:10	3
ნეშვილი	5	1	1	3	8:13	3

კარია მაინც უკმაყოფილოა

სარგბიელის არქივიდან

პოლ კარიას ტრავმები აშინებს

ნჰლ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ბრაიან ბურკი (მის საქმიანობას ძირითადად მოედანზე მომხდარი ინციდენტების გარჩევა და დამნაშავე ჰოკეისტების დასჯა წარმოადგენდა), შესაძლოა ლმობიერი პიროვნება, მაგრამ მის მიერშემუშავებული სადისციპლინო სისტემა აქამდე ურიგოდ არ მუშაობდა. საქმე მხოლოდ ისაა, თუ როგორ გამოადგა იგი ლიგას.

ფაქტი ის გახლავთ, რომ 1996 წელს ამ პოსტზე მისულმა ბურკმა უხეშობასა და სისასტიკეს ბრძოლა გამოუცხადა და ამ პოლიტიკამ გარკვეული შედეგიც გამოიღო. 1996-97 წლების სეზონისგან განსხვავებით, ბოლო ჩემპიონატში დასჯილ ჰოკეისტთა რაოდენობამ 25 პროცენტით იკლო. სპეციალისტთა აზრით, შეიცვალა თავად მოთამაშეთა ფსიქოლოგია — ისინი უფრო კორექტულნი, მოწესრიგებულნი გახდნენ და ნაკლებად ცდილობენ, მეტოქეს ზიანი მიაყენონ. თუმცა, როგორც ჩანს, სადისციპლინო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელი კოლინ კემპბელი (ბურკი ვანკუვერში გადავიდა სამუშაოდ) თვლის, რომ ეს საკმარისი არ არის. აკი ამიტომაც მოელიან, რომ იგი უფრო მკაცრად შეებრძოლება უდისციპლინობას. საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობს.

ჯერ ერთი, ბურკის დროს მისჯილი დისკვალიფიკაციები არც ისე მკაცრი იყო (21-დან 11 ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გახლდათ), მეორე და მთავარი ის იყო, რომ ერთობ გახშირდა ტვინის შერყევები. უკანასკნელ სეზონში 82 ჰოკეისტმა, მათ შორის ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორნიც პოლ კარია და ერიკ ლინდროსი არიან, სხვადასხვა სიმძიმის შერყევები მიიღეს. იმავე კარიამ ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, ლიგაში ზოგიერთებს ძალიან მოსწონთ ძალადობა.

ახლა, ჩემპიონატის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ კემპბელი მონდომებით შეუდგა საქმეს. მან უკვე ათამდე ჰოკეისტს „გამოუწერა“ მისცა დისკვალიფიკაცია, მათგან სამი 4-5 თამაშით დასჯა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი მათგანი ჯერ კიდევ საგამოფენო მატჩებში გაიცა, როცა დალასელმა დერიან ჰეჩერმა წაქცეულ მეტოქეს, სენტლუისელ კრის პრონგერს თავი რამდენჯერმე დაარტყმევინა ყინულზე, ხოლო შარშან იმ ჯარიმისთვის, რომელსაც ჰოკეის ენაზე „ფეხის ამტრიალება“ ჰქვია, მხოლოდ ორი მატჩით დისკვალიფიცირებულ ანაჰიმელ რუსლან სალეის გაცილებით მკაცრი განაჩენი გამოუტანეს — ხუთ შეხვედრას გამოტოვებს.

კარია კი მაინც უკმაყოფილოა: „თუ ამგვარი ინციდენტების აღმოფხვრას და უხეშობის მოყვარულთა გონს მოყვანას ვაპირებთ, უმჯობესია ათმატჩიანი დისკვალიფიკაციის სისტემა შემოვიღოთ“ — მოითხოვეს კარია, რომელმაც ჩიკაგოელი გერი სუტერისგან მიღებული დარტყმის გამო 28 მატჩი გამოტოვა და საერთოდ, მისი კარიერა კარგა ხანს საფრთხის წინაშე დადგა.

სპეციალისტთა აზრით, ამ დროს პასუხისმგებლობა კლუბებმაც უნდა გაინაწილონ და მოთამაშეებთან ერთად ფინანსურად ისინიც უნდა დაისჯნენ, რადგან ჰოკეისტები მეტოქის შუშინების ტაქტიკას ხშირად გუნდების მესვეურთა წაქეზებით მიმართავენ.

რაღა ჰოკეი, რაღა ოპერა

პროფესიული ჰოკეის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ თამაშებზე ასპროცენტიანი დასწრებაა. ამის გამო იქნებ ვინმემ იფიქროს, რიგითი ამერიკელისთვის ეს სიამოვნება ფინანსურად არავითარ სირთულეს არ წარმოადგენსო. საქმე რომ ასე სრულიადაც არ არის, ამის დასტურად თასის მფლობელი დეტროიტის მაგალითიც გამოდგება.

მაშინ, როცა აშშ-ში საშუალო მაცხოვრებლის ხარჯი 1985 წლის შემდეგ 51,9 პროცენტით გაიზარდა, ჰოკეის მატჩებზე ბილეთების ფასმა მკვეთრად აიწია. დეტროიტში ყველაზე საუკეთესო ადგილების ღირებულებამ 16 დოლარიდან 72-მდე, ესე იგი 4,5-ჯერ იმატა, „ჯო ლუის არენაზე“ დასწრება კი საშუალოდ 48,36 დოლარი ღირს. „ჰოკეიზე წასვლა ამჟამად ოპერაში გატარებული საღამოს ფასად ჯდება, ამიტომაც ამ სიამოვნების მიღება მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ“ — ჩივის „წითელ-ფრთიანთა“ ერთ-ერთი ქომაგი, რომელსაც ძლივსძლივობით შეუძენია სეზონური ბილეთი, ისიც მეგობართან საზიაროდ. ამიტომაც ისინი მატჩებზე რიგრიგობით დადიან.

მიუხედავად ფანების საჩივრებისა, „ჯო ლუისი“ მუდამ გადაჭედილია. სეზონის წინ 19982 კაცის ტევადობის არენაზე 16 ათასი სეზონური ბილეთი გაიყიდა, ხოლო თითქმის ყველა თამაშზე ანშლაგია. დეტროიტი ბრწყინვალედ თამაშობს და 20, 37, 46, 65 და 72 დოლარიან ბილეთებზეც კი ყოველთვის მოიძებნება მსურველი.

სამგელ ღარიბიანი

კრემლს უჭირს

ლიონი. საფრანგეთი.
ჩოგბურთის გრან პრი.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო 700 ათასი$

ლიონის ტურნირს ასეთი ძლიერი შემადგენლობა არასოდეს ჰყოლია — ამ ფრანგულ ქალაქში ერთბაშად მსოფლიოს პირველმა, მეორე და მესამე ჩოგნებმა მოიყარეს თავი. სამივეს ერთი მიზანი ამოძრავებს — სეზონის ბოლოს კლასიფიკაციის პირველი ადგილი.

მესამეს — პატრიკ რაფტერს ლიონთან არცთუ ტკბილი მოგონებები აკავშირებს. შარშან აშშ-ის ღია პირველობის ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა აქ პირველივე წრეში პირზე რძეშეუმშრალ ფრანგ არნო კლეანთან წააგო და განაწყენებულმა ორგანიზატორებს ასპარეზობისთვის გადახდილი ექვსნიშნა ციფრიანი ჩეკი დაუბრუნა, არ დამიმახურებიაო: „ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ვგრძნობდი, ამ ტურნირისთვის ხეირიანად მომზადებული არ ვიყავი. ერთი მატჩიც რომ მომეგო, უკვე სხვა იქნებოდა“.

წლეულს რაფტერს მსგავსი რამის გაკეთება აღარ დასჭირვებია, რადგან პირველ წრეში თავხოტორა, საყურიან ამერიკელ მავრ სტივ კემპბელს, წინა 14-დან 13 მატჩი რომ წააგო, 6:2 6:2 აჯობა, თანაც თავისთვის არცთუ საყვარელ ხალიჩის საფარზე მშვენივრად წაივარჯიშა. გამარჯვების მიუხედავად, ავსტრალიელი პირველობაზე თავისი შანსების შეფასებისას თავმდაბალი იყო: „ფული რომ მქონდეს, მათ სამპრასზე დავდებდი. თუმცა, რა თქმა უნდა, იმ ჩეკს არა, აქ რომ გადამიხადეს, ეს ძალიან დიდი თანხაა. ჩემს თავს კი ასე, 12 პროცენტს მივცემდი“.

მსოფლიოს მეორე ჩოგანი მარსელო რიოსი ლიონს აქტივში ზედიზედ რვა გამარჯვებით, ზედიზედ ორი ტიტულითა და ამ ხნის მანძილზე მოპოვებული 1,4 მილიონი დოლარით ეწვია: „ბოლო ორი კვირის მანძილზე კარგად ვთამაშობდი, მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვი, საუკეთესო ფორმაში ვარ თუ არა, საფარიცა და პირობებიც ხომ ტურნირიდან ტურნირამდე იცვლებოდა“.

თუმცა პირველ წრეში შარისთავ ჯეფ ტარანგოს დამარცხება ჩილელს მაინც არ გასჭირვებია — 6:3, 6:3. რაფტერისგან განსხვავებით, საკუთარ შანსებზე საუბარი რიოსმა იუარა. „ვცდილობ, კლასიფიკაციაზე მაინცდამაინც არ ვიფიქრო. მთელ ყურადღებას იმაზე ვამახვილებ, რაც მოსაგებია, ყველაფერი მოვიგო. თუ პოზიციას გავიუმჯობესებ, ამას რა აჯობებს — მარსელომ ისიც დუმტა, მოუთმენლად ველი, უახლოეს კვირეებში რა მოხდება, სამპრასთან და რაფტერთან პაექრობა ძალიან მალე აპოგეას მიაღწევსო — წლის ბოლო ძალიან საინტერესო იქნება, რადგან ყველაფერია შესაძლებელი“.

მესამე და მეორე ჩოგნებს, თავის მხრივ, არც პიტ სამპრასი ჩამორჩა. მიუხედავად იმისა, რომ ტოდ მარტინთან მატჩში (ესენი ამ ხუთ დღეში მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს) ამერიკელი ალგა-ალგ გულგრილ მაყურებელს უფრო წაადავდა, ვიდრე თამაშის ბედით დაინტერესებულ ჩოგბურთელს, საჭირო მომენტებში მნიშვნელოვნად მომატება და თანამემამულის ზედიზედ მეთორმეტედ გამწარება მაინც მოახერხა 6:4, 1:6, 6:4.

პირველი წრე: ალექს კორეტხა (4, ესპანეთი) ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:2; ჯანლუკა პოცი (იტალია) — იან სიმერინკი (5, პოლანდია) 2:6, 6:4, 6:4; არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) — ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) 7:5, 6:3; სედრიკ პიოლინი (7, საფრანგეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:7 (4:7), 6:4, 6:1; ფაბრის სანტორო (8, საფრანგეთი) — სტეფან უე (საფრანგეთი) 6:3, 6:3; პიშამ არაზი (მაროკო) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:5), 7:5

ოსტრავა. ჩეხეთი.
დარბაზის ღია პირველობა.
ტარდება ხალიჩაზე.
საპრიზო 1 მილიონი$

პეტერ კორდა, სეზონი ზედიზედ 14 გამარჯვებით რომ დაიწყო და სამპრასს პირველობასაც ეცილებოდა, ალბათ, ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოასპარეზე რვა საუკეთესოს შორისაც კი ვერ მოხვდება. 30 წლის ჩეხმა მთელი თავისი საჩოგბურთო ამბიციები, როგორც ეტყობა, ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით დაიკმაყოფილა და წლის მეორე ნახევარში ინერციით ან მოვალეობის მოხდის მიზნით უფრო თამაშობს, ვიდრე საკუთარი სურვილით.

კორდამ ამჯერად მშობლიურ ჩეხეთშიც შეირცხვინა თავი, პირველივე წრეში 18 წლის რუს მარატ საფინთან წააგო. თუ ჩეხი პირველ სეტში კიდევ იბრძოდა, მეორეში არც თავისიანების შეგულიანებამ გაჭრა და არც ტრიბუნებზე მეუღლისა და ქალიშვილის ყოფნამ — 4:6, 2:6.

პირველი წრის მოულოდნელობები ამით არ ამოწურულა. გერმანელმა ბუდისტმა დევიდ პრინოშილმა, რომელმაც ბაზელის ტურნირზე გრეგ რუზედკის მოუგო, ოსტრავაში არც მეორე უძლიერესი მოწოდების პატრონი ჩოგბურთელი, ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი დაინდო. „სკადი“ მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე სამ მატჩ-პოინტს დაუძვრა და ანგარიშის გათანაბრებით ერთი შეხედვით თავიც გადაირჩინა, მაგრამ გადამწყვეტი ხელის დასაწყისში წაგებული საკუთარი მოწოდება საბედისწერო გამოდგა — 6:3, 6:7 (7:9), 6:3 პრინოშილის სასარგებლოდ.

ამდენი უსიამოვნო მოულოდნელობის შემდეგ პირველ წრეში მაყურებელთა მთავარ სატყუარას, ანდრე აგასისაც რომ წაეგო, ტურნირის ორგანიზატორებს ინფარქტისგან თუ არა, გაბანკროტებისგან მაინც კაცი ვერ იხსნიდა. მაგრამ ხოტორა ამერიკელმა, ჩეხეთს საკუთარი თვითმფრინავით რომ ეწვია და თავისი სტუმრობით მასპინძლებს ლამის ნახევარი მილიონი დოლარიც დაუხარჯვინა (აქედან 200 ათასი მხოლოდ აქ ასპარეზობის გასამრჯელოა), დანიელ კენტ კარლსენს საკმაოდ იოლად მოუგო 6:4, 6:4.

„ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი მატჩი იყო. ევროპის დარბაზის სეზონი კარგად დაიწყე და არ მინდოდა, ჩავარდნა მქონოდა“ — განაცხადა ტურნირზე მეორედ განთესილმა ანდრემ, რომელმაც შემოდგომა ფინალში ორი მარცხით დაიწყო.

პირველი წრე: კაროლ კუჩერა (3, სლოვაკეთი) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 4:6, 7:6 (7:3), 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 7:6 (7:4), 6:3; იან კროსლაკი (სლოვაკეთი) — გორან ივანიშევიჩი (5, ხორვატია) 4:6, 6:2, 7:6 (7:4); ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) 3:6, 6:4, 6:2; ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:4, 6:4;

REUTERS მოსკოვიდან

კურნიკოვას მოწოდებას სასწრაფო დახმარება სჭირდება

მოსკოვი. რუსეთი.
კრემლის თასი.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო 1 მილიონი$

რუსეთში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა თავისი დაღი „კრემლის თასსაც“ დასვა. ჯერ იყო და ტურნირი ლამის უკორტებოდ დარჩა — ორგანიზატორებმა ხალიჩის საფარის ყიდვა საზღვარგარეთ კი მოახერხეს, მაგრამ მისი რუსეთში შემოტანისთვის გადასახდელი ბაჟის თანხა ვერ იშოვეს და მთავრობას სთხოვეს, ანგარიში გაეწია. მოსკოველებს გახსნისა და დახურვის ცერემონიალების გამარტივებაც მოუხდათ და გასაცემი სუვენირების, პრიზებისა და სხვა დანახარჯების შემცირებაც. „ჩვენ უბრალოდ ფული არა გვაქვს ყველაფერი ამისთვის. მთავარი ის არის, რომ კრემლის თასი არსებობას გააგრძელებს“ — განაცხადა ტურნირის გენერალურმა დირექტორმა იაკობ შახტინმა.

რუსებს გული ჩოგბურთელებმაც დასწყვიტეს — ბოლო წუთს აქ ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს. ნატალი ტოზიამ, დომინიკ ვანრუსტმა და ლინდსი დევენპორტმა, ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ იანა ნოვოტნას კი სერიოზული ტრავმა აწუხებს. ორგანიზატორები განსაკუთრებით მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დევენპორტმა გაანწყინა: „იგი ძალიან ცუდად მოიქცა. პარასკევს შეგვატყობინა, ტრავმა მაქვსო და მერე ციურიხში ორი მატჩი ითამაშა. მსგავსი საქციელისთვის კაცების ჩოგბურთში დიდ ჯარიმას დააკისრებდნენ“ — დაიჩივლა ტურნირის ამერიკელმა დირექტორმა ჯინ სკოტმა.

დიდი ხეირი კრემლის თასს არც რუსეთის საუკეთესო ქალმა ჩოგბურთელმა — ანა კურნიკოვამ დააყარა. 17 წლის ვარსკვლავმა, რომელიც ამ ბოლო ხანებში მოყვარულ მოთამაშესავით აწოდებს, მოსკოვში ახალი სიმაღლეები დაიპყრო და ორმაგი შეცდომების პირადი ანტირეკორდი 17-დან ოცამდე გაზარდა. ამას 36 უნებლიე შეცდომაც დაერთო და რუსი პირველ წრეში 6:7 (5:7), 6:4, 1:6 დამარცხდა იტალიელ სილვია ფარინასთან. თანაც კურნიკოვამ 1997 წლის დასაწყისიდან პირველად წააგო კლასიფიკაციაში საუკეთესო 15-ეულზე დაბლა მდგომ მეტოქესთან.

სამაგიეროდ, თავი გამოიჩინა 1997 წლის თბილისის ღია პირველობის გამარჯვებულმა ნადეჟდა პეტროვამ. 16 წლის ჩოგბურთელი, რომელმაც ამ ზაფხულს იუნიორთა როლან გაროსზეც იმარჯვა, საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონ ივა მაიოლისთან მეორე სეტში 2:5-ს აგებდა, როდესაც მეორე სუნთქვა გაეხსნა და დარჩენილი 13 გეიმიდან 12 მოიგო — 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 6:0. „უცებ მივხვდი, რომ დასაკარგი არაფერი მქონდა, მოვეშვი — და მოვიგე“ — ახსნა კლასიფიკაციით 167-ე პეტროვამ.

ჩვენს სხვა ნაცნობებს რაც შეეხება, „ქართუს“ წლევანდელმა გამარჯვებულმა, ევგენია კულიკოვსკაიამ, საკვალიფიკაციო ტურნირის ფინალში წააგო, ელენა დემენტიევა კი პირველ წრეში ბელგიელ საბინე აპელმანსთან 4:6, 4:6 დამარცხდა.

პირველი წრე: მარი პირსი (5, საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 5:7, 6:2, 6:4; სანდრინ ტესტიუ (7, საფრანგეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 6:2; ჩანდა რუბინი (აშშ) — ირინა სპირლეა (8, რუმინეთი) 6:2, 6:3; ბარბარა შეტი (ავსტრია) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:2, 6:3; მაუი სერნა (ესპანეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 5:7, 6:3, 6:4

ავთანდილ სვანიძე

REUTERS შვეიცარიიდან

მარატ საფინი

მანასლუ დაპოშმინებულა



მანასლუ ანაპურნა მე-4 ფერდობიდან

ნახევარი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გაუწყეთ, რომ ქართველ მთამსვლელთა მეორე ჰიმალაური ექსპედიციის წევრებმა მანასლუს ფერდობებზე საშინელ ავდარში ყველა ბანაკი გამართეს, მარშრუტი დაამუშავეს და ხვალ გადამწყვეტი იერიშისთვის გზას გაუდგებიანო.

მაგრამ ეს „ხვალ“ უამინდობის გამო აქამდე არ დადგა და ძვირფასი დრო დაიკარგა. ქარბუქმა, ქარიხშალმა და დიდთოვლობამ სხვადასხვა ქვეყნის ექსპედიციებს პირი აბრუნებინა. როგორც ჩვენმა ბიჭებმა გვაცნობეს, გამოდარებას მათ გარდა აქამდე ჯიუტად უცდიდნენ მხოლოდ რუსეთისა და კორეის ექსპედიციები, დანარჩენებმა კი თავიანთი ბანაკები აყარეს და შინისკენ გზას გაუდგნენ.

სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდა ჩვენი ექსპედიციის ორი წევრი. თბილისელი დავით ჩანტლაძე ანგინას გაუტანჯავს. მასთან ერთად მოემგზავრება ქუთაისელი მერაბ ნემსიწვერიძეც.

როგორც მანასლუს საბაზო ბანაკიდან ჩვენმა მთამსვლელებმა გუშინწინ გვაცნობეს, ამ რვაათასიანი მწვერვალის რაიონში, როგორც იქნა, გამოუდარებია და ისინი გუშინ, უკვე მერამდენედ, გეგმავდნენ ასვლის დაწყებას.

თუ მანასლუმ კვლავ თავს ქარაშოტი არ დაიტეხა, იმედია, ჩვენი ექსპედიცია მიზანს მიაღწევს.

რაგბი

ჰუმები ევროპას შეესევიან

არგენტინის მორაგბეთა ნაკრები ნოემბრის დამდეგს ევროპას ეწვევა და ექვს ტესტ-მატჩს გამართავს. 3 და 7 ნოემბერს „ჰუმები“ ვიტერბოში და ბრეშიაში იტალიელებს შეერკინებიან, მერე საფრანგეთს გადაბარგდებიან და 11-ში ქალაქ ბერგოში ფრანგ „ბარბაროსებს“ დაუპირისპირდებიან, 14 ნოემბერს კი ნანტში „მამლებს“ გაეჯიბრებიან.

ამის შემდეგ „ჰუმები“ კონტინენტიდან ბრიტანეთს გადავლენ, სადაც 18 ნოემბერს პონტიპრიდში ჯერ უელსის მეორე ნაკრებთან მოუწევთ ბურთაობა, სამი დღის მერე კი ევროპული ტურნეს ბოლო მატჩსაც გამართავენ უელსის ეროვნულ გუნდთან. ევროპას არგენტინელები უძლიერესი შემადგენლობით ეწვევიან, მათ რიგებში ლეგიონერებიც მრავლად იქნებიან. სარბიზე და რიჩარდო ფრანგულ „ბრივში“ და „კასტრში“ გამოდიან, პიკო, მენდესი და გრაუ ინგლისური კლუბების ღირსებას იცავენ, ხოლო ომარ ჰასანი ახალზელანდიურ „ეველინგტონელ ლომთაგან“ ერთ-ერთია.

„ჰუმებმა“ საევროპოდ ძმები კონტეპომებიც იახლეს, რომლებიც არგენტინული რაგბის ამომავალ ვარსკვლავებად ითვლებიან.

ჩვენი ლეონსიოს „ნარბონა“ მეხუთეა

ახლახან გამოქვეყნდა 45 ევროპული სარაგბო კლუბის ნუსხა, რომელიც საფრანგეთ-ირლანდია-უელსის ჩემპიონატებისა და ევროსარბიელზე გამართული შეხვედრების შედეგების მიხედვით, 10-ბალიანი სისტემით შედგა. კლასიფიკაციას სათავეში უდგას ფრანგული „სტად ფრანსე“, რომელიც არც შინ და არც მთელს კონტინენტზე დიდი ხანია, არ დამარცხებულა. ჩვენებური ლევან ცაბაძის („ლეონსიოს“) გუნდი „ნარბონა“ მეხუთე ადგილზეა, საერთოდ კი თვალშისაცემია ფრანგულ კლუბთა აშკარა უპირატესობა — ფრანგებმა უკან მოიტოვეს უელსური, ირლანდიური და იტალიური გუნდები და პირველ ოცეულშიც ამკარად ჭარბობენ. ევროპის საუკეთესო ოცეულის სია ასე გამოიყურება:

1. სტად ფრანსე; 2. ტულუზი; 3. პერპინიანი; 4. ბრივი; 5. ნარბონა; 6. მონფერანი; 7. ბერგონი; 8. ედინბურგი; 9. პო; 10. პონტიპრიდი; 11. დაქსი; 12. კოლომიერი; 13. ლენსტერი; 14. ოლსტერი; 15. ბიარიცსი; 16. მანსტერი; 17. ლიანელი; 18. კასტრი; 19. ბეზიერი; 20. ტრევიზო.

არჩილ ბუმბურიძე

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორელიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დეკაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29